განთიადი

ფასი 20 კ.

15 თებერვალი 1915 № 4.

ქუთაისი

სტამბა „ძმობა“ ქარვასლის ქუჩა, სახლი ჩარექოვისა.

1915

შ ი ნ ა ა რ ს ი.

1. ქართველ ერს---კომიტეტისაგან.
2. დამარხვა.—აკაკისა.
3 განთიადი.—მისივე,
4. ავათმყოფი მგოსანი—მისივე.
5. სულიკო.—მისივე.
6. სიკვდილი.—მისივე.
7. ვარსკვლავი.—გიორგი გვაზავასი.
8. აკაკის ხსოვნას.—ცახელისა.
9. მოგონება.—ს. ბახტაძისა.
10. მოგონება.—ივ. ი—ანის.
11. აკაკის გამოსვენება საჩხერიდან.
12. აკაკის დაკრძალვა თფილისში.
13. სიტყვა ნიკო ნიკოლაძის.
14. „ ექსახოსის პიტირიმის.
15. „ ევგენი გეგეჭკორის.
16. „ ხატისოვის.
17. ,, გულო აღა კაიკაციშვილის.
18. ,, ჩვენი აკაკი—ნოე ჟორდანიასი.
19. აკაკი და ხალხი—არიელის.
20 ქართული მწერლები აკაკის შესახებ- ი. არიმათიელის.
21. ომის მატიანე.

განთიადი № 4.

ჟურნალის ფასია: ქუთაისში წლით 4 მ., ნახევარი წლით 2 მ., სამი თვით 1 მ., თვიურათ 40 კ., ქუთაისის გარეთ წლიურათ 4 მ. 60 კ., ნახევარი წლით 2 მ. 30 კ., სამი თვით 1 მ. 15 კ., თვიურათ 50 კ., რედაქციის მისამართია: Кутаисъ Редакція „Гантіади

ორკვირული საპოლიტიკო, სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი.

№ 4 15 თებერვალი 1915 წელი.

ქართველ ერს

1915 წელს 26 იანვარს დამდეგს ღამის პირველ საათზე საქართველოს დიდება, ქართველი ხალხის ეროვნული გულთმისანი და მესაიდუმლე—აკაკი წერეთელი გარდაიცვალა. მისი მალმერთებელი სამშობლო საყოველთაო გლოვის ნისლმა დაბურა. დაობლებული ქვეყანა გულის სიღრმიდან ამოხეთქილი კვნესით ეხმაურება თავის წუხილის შეუდარებელი გამომსახველის სიკვდილს, ერის წმიდა ზრახვების გრძნეული მომღერლის დაკარგვას.

მთელი ერი ერთი აზრით გამსჭვალული, ერთ გრძნობათ გადაქცეული, თვალცრემლიანი და გულ ჩათხრობილი შემო-

კრებება აკაკის ძვირფასი ცხედრის თაყვანსაცემათ, წმიდა ნეშტს ჩააბარებს ჩაფიქრებულ მთაწმიდის ისტორიულ აკლდამას. ხოლო მისი უკვდავი სულის წინაშე საუკუნო ფიცს დასდებს, რომ არ უშალატებს დიდებულ მგოსნის-მიერ ნაანდერძევ სიმართლის მსახურებას და ეროვნულ იდეალებს.

კომიტეტი.

„ᲓᲐᲛᲐᲠᲮᲕᲐ“

ᲓᲐᲣᲑᲔᲭᲓᲐᲕᲘ ᲚᲔᲥᲡᲘ ᲐᲙᲐᲙᲘᲡᲐ.

ილია ჭავჭავაძის ტრაგიკულმა სიკვდილმა და მისმა დამარხვამ დიდი ჩაბეჭდილება იქონია აწ-ნეტარ-ხსენებულ აკაკიზე. იგი ჩამოვიდა ქუთაისში და თვისი გულის-წყრომა მიამბო, მეორე დღეს საწერ მაგიდაზე ვნახე ლექსი, სათაურით:

“ᲓᲐᲛᲐᲠᲮᲕᲐ“

სიცოცხლეში არ ვიცით?
—მტრობა, გმობა, ყვედრება!
მარა დამარხვაში კი,—
ვერავინ შეგვედრება:

გავიგონებთ, თუ არა,
მოკვდა „ეს და ესაო“,
ცოცხლებში ველარ ვხედავთ
მასზედ უკეთესსაო!..

ვეპოტინებით ზეცას,
ვაბნელებთ მზე და მთვარეს,
შავ სუდარში გახვევთ
მთელ საქართველოს მხარეს!...
დეპეშა დეპეშაზე
მოდს გახურებული!
ხორა-ხორა ეგება
გვირგვინების კრებული!..

გადაქცეული სიტყვათ,
ვაქასქასებთ ენასა
და მით ვცდილობთ ჩვენივე
თავის გამოჩენასა!

მარა, რომ გავათავებთ,
დავმარხავთ მიცვალებულს,
მივსდგებით ისევ ცოცხლებს
და მით ვიოხებთ ჩვენს გულს.

არ ვზოგავთ მოღვაწეებს,
აბუჩათ აგდებულსა
და, თუ მოკვდენ გავმართავთ.
დამარხვას დიდებულსა.

დიახ!.. ქართველ მოღვაწეს
ყველას თვალში ვამცირებთ:
სიცოცხლეში ვატირებთ,
რომ მოკვდება ვიტირებთ!

ᲐᲙᲐᲙᲘ.

ეს ლექსი დაწერილია 1907 წლის 21 ენკენისთვეს.

(„სამშობლოდან„).
ს. ბახტაძე.

ᲒᲐᲜᲗᲘᲐᲓᲘ

მთა-წმიდა ჩაფიქრებულა,
შეჰყურებს ცისკრის ვარსკვლავსა;
მნათობი სხივებს მაღლით ჰფენს
თავ-დადებულის საფლავსა.

—

დადუმებულა მთაწმიდა,
ისმენს დუდუნსა მტკვრისასა,—
მდინარე ნანას უმღერის
რაინდსა ურჩსა მტრისასა.

—

მთაწმიდა გულში იხუტებს
საშვილიშვილო სამარეს,
მამა დავითსა ავედრებს,
აბარებს ქვეყნის მოყვარეს.

—

მგოსანი გრძნობა მორევით
თვალს ავლებს არე-მარესა
და გულის პასუხს ნარნარათ
უმღერის ტურფა მხარესა:

—

„ცა-ფირუზ ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო,
სნეული დაბრუნებულვარ,
მკურნელთ შემეყარეო.

—

„ვერ ავიტანე ობლობა,
სისხლის ცრემლები ვღვარეო,
წამძლია სულმა და გულმა,—
შენს ნახვას დავეჩქარეო.

—

„წინ მომეგებენ ღიმილით
შენი მზე შენი მთვარეო,
გუნდი და გუნდი ვარსკვლავი,
მოკაშკაშ-მოელვარეო.

გულში იფეთქა სიამემ,
სევდები უკუ ვყარეო —
ია და ვარდი დამჭკნარი.
ხელ ახლათ გამიხარეო.

—

„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო,
შენი ვარ, შენთვის მოვკვდები,
შენზედვე მგლოვიარეო.
„ნურც მკვდარს გამწირავ,
ნურც ცოცხალს,
ზე კალთა დამაფარეო;

—

„დედა-შვილობამ ბევრს არ გთხოვ—
შენს მიწას მიმაბარეო,
ცა-ფირუზ. ხმელეთ ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო!..“

ავათმყოფი მგოსანი.

ბედო შავპირო, უპირო,—
ამრევო გზა და კვალისა!
სულს ნუ ამომხდი, მაცალე
დახამხამება თვალისა!

—

აჩრდილი ღა ვარ წარსულის
და ლანდი მომავალისა!
ვის შერჩენია მე შემრჩეს
ბადახდა სოფლის ვალისა?

—

მარა სურვილმა მომხიბლა
ცრუ მოიმედე ხვალისა;
ამიხმატკბილა ჩანგურმა
და გული გამიხალისა:

—

ჩანგურო! ჩემო ჩანგურო!
ოცნების ზღვაში მცურავო!
შენი კრინმანჭი წკრიალი,
ხელახლათ მომეწყურაო,

—

ჯორა გაქვს ია ვარდისა,
სიში—ბულბულის ენაო;
ფრთები არწივის გასხია,
შეგშვენის აღმაფრენაო:

—

მიმოფრენ, მეც თან-დაგყავარ,
წამის-წამ, კიდით-კიდესო...
ველარ მერევა სიკვდილი,
მე შენსა გადამკიდესო!..

სულიკო

საყვარლის საფლავს ვეძებდი,
ვერ ვნახე... დაკარგულიყო!..
გულ ამოსკვნილი ვჩივოდი:
„სადა ხარ, ჩემო სულიკო?!“

—

ეკალში ვარდი შევნიშნე,
ობლათ რომ ამოსულიყო;
გულის ფანცქალით ვკითხავდი:
შენ ხომ არა ხარ, სულიკო?!“

—

ნიშნად თანხმობის კოკობი
შეირხა... თავი დახარა,
ცვარ მარგალიტი ციური
დაბლა ცრემლებათ დაჰყარა.

—

სულ-განაბული ბულბული
ფოთლებში მიმალულიყო.
მივეხმატკბილე ჩიტუნას:
„შენ ხომ არა ხარ, სულიკო?!“

—

შეიფრთქიალა მგოსანმა,
ყვავილს ნისკარტი შეახო,
ჩაიკვნეს ჩაიპიკჩიკა,
თითქოს თქვა: დიახ, დიახო!“

—

დაგვქათქათებდა ვარსკვლავი,
სხივები გადმოსულიყო.
მას შეეკითხე შეფრქვევით:
„შენ ხომ არა ხარ, სულიკო?!“

—

დასტური მომცა ციმციმით,
ხივები გ ღ მომაყარა
და იმ დროს ყურში ჩურჩულით
ნიავმაც ასე მახარა:

—

„ეგ არის, რასაც ეძებდი,
მორჩი და მოისვენეო!
დღე დაიღამე აწ ტკბილათ
და ღამე გაითენეო!“

—

„სამაო დაშლილა ის ერთი:
ვარსკვლავათ, ბულბულ, ვარდათო,
თქვენ ერთმანეთი, რადგანაც
ამ ქვეყნათ შეგიყვარდათო.“

—

მენიშნა... აღარ დავეძებ
საყვარლის კუბო-სამარეს,
აღარც შევჩივი ქვეყანას,
და არც ვღვრი ცრემლებს მდუღარეს!

—

ბულბულს ყურს ვუგდებ, ვარდს ვყნოსავ,
ვარსკვლავს შევყურებ ლხენითა
და, რასაცა ვგრძნობ მე იმ დროს,
ვერ გამომითქვამს ენითა!

—

ისევ გამეხსნა სიცოცხლე,
დღემდი რომ მწარეთ კრულ იყო,
ახლა აი ვიცი, სადაც ხარ,
სამგან გაქვს ბინა, სულიკო!..

სიკვდილი

I

მაშ ეს ყოფილა სიკვდილი... მეტი არაფერი!

თვალები დახუჭული მაქვს, მარა ვხედავ, გული აღარ მიძგერს, — და ვგრძნობ კი. გონებაც ისევ თავისავე რიგზეა, მხოლოთ სხეული დამდუნებია: ადგომა მინდა — ხელფეხს ველარ ვანძრევ, ხმის ამოღება მსურს, — ენა არ მემორჩილება. ჰეეე, მოდი და ირიკავე ახლა!..

მადლობა ღმერთს!.. რა გაეწყობა!.. ვნახოთ მაინც, კიდევ რაღა იქნება! — „სიკვდილი წერაოო“, ამბობს ხალხი; „უმიზეზოთ მე არავის ვერჩიო“, უთქვამს სიკვდილს. და მართალც არის. ჩემი სიკვდილის მიზეზი

რაღა იყო? ანთება?.. ეს ანთება რამღა გამოიწვია? აბა, დავუგდოთ ყური, საზოგადოება რას ამბობს: „დაუდევარი კაცი იყო, თავის პატივი არ იცოდა, თფილათ ვერ იცვამდა, ცივ ოთახში იდგა, საზაფხულო ტანისამოსით დადიოდაო“ და სხვანი. ფიე! ვერ უყურებთ?!. ბრალს მევე მდებენ. ახირებული, თუ გინდათ, ეს არის, თქვენმა მზემ! ვის არ უნდა თავი მეფეთ და ცოლი დედოფლათო“?!. განმე კი მძულდა ჩემი თავი, მარა საშვალება?.. „არა, ეგ ტყუილია, მაგას რა ბევრი რამ უნდოდაო“?!!—სარწმუნოთ გაიძახიან—,,ჩვენთვის ეთქვა, ჩვენ მოვუხერხებდით მაგ საშვალებასო!“ სტყუიან, თქვენმა მზემ! ჩემებრ საწყლებს მე თვითონ არას გამოვართმევდი, და მდიდრებისთვის რო მიმემართა—გამკიცხავდენ, სირცხვილში ჩამაგდებდენ, და სირცხვილს ისევ სიკვდილი სჯობია!.. და რა აქვთ, ნეტავ, საბოდიშო? ან ადრე ვინ რას ესაყვედურებოდა, რომ პირაქეთ მკვდარს მამტყუნებენ? ასეა ადამიანის ბუნება!.. თავისი თუ არ ეხარჯება რა, თავის გამოჩენას არაფერი ურჩევნია. კუდაბზიკობა ცხოვრების ერთი ჯახრაკთაგანია. ეჰ, რაც იყო—იყო!.. ახლა გვიანლაა ყოლიფერი. მადლობა ღმერს, რომ ჭირისუფლები არ დამესწრენ, თვარა შეიქნებოდა ერთი ვაი-უშველებელი, ტირილ-ყვირილი, მოთქმა, თავცემა... ყველაფერი, რასაც კი უგულო ჩვეულება მოითხოვს, და ის თქვენ მტერს, რაც მე დღე დამადგებოდა! სულით დავიტანჯებოდი. ახლა კი... მარა, რომ არც ახლა ვარ მოსვენებით?.. ეს აუარებელი ხალხი რომ შეკრებილა, რაო? ჩემს სიცოცხლეში არ უკითხავართ, და ახლა კი თავს იტეხენ. სიკვდილს შემდეგ სინანული? სინანული კი არა და ის კიდევ! რა ბძანებაა!.. ყველას თავ—თავისი საკუთარი გულის საფხანი რამე აქვს და მკვდარს მიზეზათ მიღებს... მამადლის.

ზოგი მხოლოთ მიტომ მოდის, დარწმუნდეს: მართლა მოვკვდი, თუ არა? ზოგი ამბობს გუნებაში: ცოცხალი ხომ მინახავს—მოდი ახლა მკვდარსაც დავხედავ, როგორიაო? ზოგი მარტო ფეხის ხმას აყოლია!.. საზოგადოთ—კი ყველა იმ აზრისაა, რომ უკანაკნელი ვალი უნდა მოვიხადოთო.

დიდება შენ, ღმერთო! პირველი ვალი როდის ახსოვდათ, რომ ამ უკანასკნელს აღარ ივიწყებენ? მარა ჩანს, რომ ეს მეორე უფრო ადვილი და გასართობი ყოფილა!.. ალბათ ამის მიზეზია, რომ ხალხმა თავი მოიყარა და სახლში ტევა აღარ არის... საკვირველია, რომ ხმამაღლა ლაპარაკს ველარავინ ბედავს მკვდართან... თითქოს ეშინოდეთ ჩემი!.. უკულმა სამართალი, თუ გინდათ, აბა ეს არის!.. სიცოცხლეში არავინ მერიდებოდა, მიყვიროდენ, უსამართლობით და ცილიწამებით მაყრუებდენ, და ახლა კი მართლის თქმასაც ველარ ახერხებდენ ხმამაღლა... მხოლოთ ჩურჩულობენ! დიახ, ჩურჩულობენ, მარა სული ფხიზელი ყოფილა, ვერაფერს გამომპარებენ... ყოლიფერი მესმის.—„ჰეეე! ეს არის ჩვენი სიცოცხლე! მოვიდა—იცხოვრა, მოკვდა—წავიდა და გაქრაო“! თქვა ერთმა ჭკუის კოლოფმა დიდი შეფერებით, თითქო საკვირველი რამ ეთქვას ახლათ.—„დიიიახ! ეგ არის სოფლიო კანონიო!“—უპასუხა თავის ქნევითა და თვალების გაჭყეტით მეორემ—და გაჩუმდენ.—„სამწუხაროა ახლანდელი ქართველების მდგომარეობა! აი, ახლა ეს: ნიჭიერი კაცი იყო, მარა უკულმართათ გაატარა თვისი დღე და სოფელი! ვერც თავის თავს არგო რამე და ვერც ქვეყანას!.. შეეძლო—დაწინაურებულიყო და კაცი გამხდარიყო! ახლა კი თითქოს არც ყოფილიყოს ქვეყანაზეო!“ ბძანა ერთმა ბობოლამ. „მართალსა ბძანებთ, მარა ეგ საზოგადო, საყოველთაო ხენია დღესო,“ მიუგო მეორემ—და გავიდენ მეორე ოთახში. „ღმერთმა აცხოროს, მარა, თუ გამოიწვევდი, ერთს მისთანას გეტყოდა, რომ გულიდან აღარ ამოგცილდებოდა!.. მაგის შიშით ხმა ველარ ამოგვეღო!.. ნამეტანი იყო, ნამეტანი!.. თავხედი, ბრიყვი, უზდელი, შეუპოვარი!.. ეჰ, მადლობა ღმერთს, მოვრჩით... გადავრჩითო!.. „წაიდაპარაკა ერთმა.—„რას დაფიქრებულხარო? ეკითხება ერთი ვინმე ახალგაზდა გაჭაღარებულ პუბლიცისტს.—„ამაზე ვფიქრო

ბდიო“,—აძლევს პასუხს და ათითებს ჩემკენ.

—„მაგის ნიჭის პატრონს შეეძლო ბევრი ნაყოფი მოეტანა ჩვენი ქვეყნისთვის, და უნაყოფოთ კი ჩაიარა მაგისმა შრომამ! ეგ სულ მისი ბრალია, რომ მე არას მიჯეროდა და თავის ნებაზე დადიოდაო“.

—კაცო, შენ ჩემი თქვა!.. არ დამიჯერა, არ იქნა, ვერ დავაწყებიე ჩემებურათ წერა!.. ორმოც წელიწადს წერდა, და ქართული კი მაინც არ იცოდა... ვერ ისწავლა?!. თუ არ გადავასწორეთ მაგის ნაწერები, კაცს არ წაეკითხება!.. რაღაც უცნაური ენაა. იმერულია!.. ჩაერია მეორე.

—ეეჰ!.. ღირს კი გადასასწორებლათ ისე არ მოიპოება აზრი მაგის ნაწერებში, როგორც ურიის სახლში მირონი! ცალიერი ღლაბუცობა და ლაზღანდარობაა!.. დაუმატა მესამემ.—„ეგ ხომ ყველა მართალია, მარა მაინც უნდა პატივით დავასაფლაოთ ქვეყნის დასანახავათ!.. მე სიტყვასაც კი ვამზადებო“ განაგრძო მეოთხემ.

—მეც! მეც! მეც... გაიმეორეს სხვებმაც და გავიდენ.

—რა გშვენის ეგ შავი კაბაო! წაულაპარაკა ერთმა ფრანტმა ახალგაზდა ქალს. „იჰ, რა დროისაო?“ მიუგო სიამოვნებით გაწითლებლმა ქალმა და ცბიერათ შეხედა.—„სიყვარულმა უდროობა არ იცისო!“—უპასუხა ფრანტმა—და გაჩუმდენ.

ამგვარი რამეები ბევრი მესმის, გულზე ვსკდები, მარა სულს ხომ გული არა აქვს!!. ससუ!.. აგერ პატარა ბავშიც ეკითხება დედას: „დედიკო, ახლა ლექსებს აღარ დაწერს?“

—არა, შვილო!—უპასუხებს თვალცრემლიანი დედა,—ვეღარ დასწერს.

—ლატომ?..

—რატომ და აქ აღარ იქნება, ფუფალასთან წავიდა.

—იქ ლას გააკეთებს?

—იქ... შეეხვეწება ფუფალას, რომ ნიკო გააბედნიერე და კარგი კაცი გამოიყვანეო!.. შვამდგომელი იქნება, შვილო, და შენც ილოცე!.. შეევედრე ღმერთს!.. პიჯვარი გამოისახე!..

აი, აგერ ღვდლებიც მოდიან!.. პანაშვიდი უნდა იხადონ!.. გმადლობ შენ, უფალო, რომ ეს ერთი ჭირისუფალი მაინც გამჩენია აქ... ეტყობა, სოფლიდან არის ჩამოსული.

აი შეიმოსენ... სანთლებს არიგებენ... ანთებენ!.. „მამაო!“ მიდის ერთი ახალხაგაზდა ღვდელთან და ეუბნება: „მამაო, მგონი, უცხო ენაზე აპირებთ პანაშვიდის გადახდას?“

—დიახ, მაშ როგორ?

—აჰ, ნუ ინებებთ, მაგას!

—კი, მარა აქ ბევრი მისთანებიც არიან, რომ ქართული არ იციან‘

—მე მგონია, თვენ მკვდრისთვის იხდით პანაშვიდს, და არა ცოცხლებისთვის!

—აწყვეტიებს სიტყვას.

ამიგეს წესი!.. გათავდა!.. შეიქნა ჩოჩქოლი. დამიპირეს გასვენება!.. მარა წამოდგა ისევ ის ახალგაზდა და ამბობს: „მოითმინეთ, ბატონებო!.. უნდა ეს ლექსი მოისმინოთ, სადაც განსვენებულის უკანასკნელი სურვილია გამოცხადებულიო!“ ამოიღო და წაიკითხა.

ᲐᲜᲓᲔᲠᲫᲘ

ოთხი ფიცარი კუბოსთვის
უბრალო, შეუმკველათა,
და ოთხი მუშაც წამღები,
რომ გამასვენონ ხელათა.

—

არც გვირგვინები, არც სიტყვა,
არცა რა ცერემონია!..
არ მინდა!.. მოლას ანდაზა
მეც ბევრჯელ გამიგონია!

—

მინდა, რომ ბაღში დამმარხონ,
სადაც არ იყოს სხვა მკვდარი!...
ზაფხულმა მწვანით შემმოსოს
და თოვლს მაყრიდეს ზამთარი!

—

მზე საფლავს სხივებს მტყორცნიდეს,
დაქათქათებდეს ზედ მთვარე

და ვარსკვლავები ჭიკჭიკა,
სხივებით მოსხივ-ცისკარე.

—

დილ-დილით გასალვიძებლათ
შაშვმა მისტვინოს ხევსური,
რომ მის მაღალბან სალამურს
სიკვდილმაც დაუგდოს ყური.

—

სალამოს ვარდის ჩიტუნამ
ჩასკვნით ჩამკვნესოს „ნანინა“,
იქვე მაჩლობლათ ბუჩქებზე
მას აერჩიოს რა ბინა!..

—

და ამდენ ნატვრის გვირგვინათ
ერთსაც დავსახავ სხვა რამეს,
კავშირსა სიკვდილ-სიცოცხლის,
ორივე სოფლის სიამეს!..

—

ის მირჩევნია ძვირფას ძეგლს,
ყოველგვარ სანახაობას,
რომ იქ უქმე-დღე ვხედავდე
მოზარდულ ქართველ თაობას!

—

იქ თამაშობდეს, ცელქობდეს,
ეხორცებოდეს ქართველ ერს!..
თავისებურათ დამღერდეს
ძველებურ მრავალ-ჟამიერს!..

ყველამ ყური დაუგდო. მოისმინეს და სიცილი დაიწყეს. მხოლოთ მეთაურებმა კი თქვეს: „ახლა გვიანლა არის, მომზადებული ვართ, ხალხი ცერმემონიას ელის... უცდის— **და** ხომ ვერ მოვატყუებთ!“ ამას რო ყური მოვკარი, გამეცინა გუნებაში: არა, მეც, თუ სულელი არა ვარ, სიცოცხლეში ვინ ამისრულა სურვილი, რომ სიკვდილის შემდეგ გამიგონოს-მეთქი!.. დამავლეს ხელი და გამიტანეს.

დიდძალ ხალხს მოეყარა თავი; ქუჩები სულ გატენილი იყო, მარა მწუხარება კი ვერვის შევატყვე,—ისევ ქალებს, ბავშებს და უბრალო დაბალ ხალხს უფრო ეტყობოდათ!.. უფრო მეტი სეირის ხალხი იყო!.. მე მგონია, სახჩობელაზე რომ ვინმე წაეყვანათ, მაშინც ისევ ეს და ამდენივე ხალხი მოგროვდება.—სულ ტაატით მიმასვენებენ.—ეს გვირგვინები რაღა ოხრობაა!? გაგონილა ამდენი?! სიცოცხლეში გამირბოდენ, და ახლა კი უკან მომდევენ!? „წმიიიდაააო ღმეერთო, წმიიიდაააო ძლიიიეროო!? გალობს მოსწავლეთა გუნდი... ეს კი არა მწყინს!.. მშობლიური რამ ხვდება გულს!.. მარა მაინც, ნეტავ, მალე გათავდებოდეს?.. უჰ, როგორც იქნა! ძლივს არ მიმასვენეს საფლავამდი!—მადლობა ღმერთს, ახლა კი ჩამდებენ პირლია საფლავში—და მოვრჩები, მოვისვენებ!.. მარა, რა ბრძანებაა?. აქაც ერთი ჭირი... უარესიც მემართება: მეხვევიან გარს, გაუკეთებიათ რაღაც მაღლობი ადგილი, დგებიან ზედ ვიღაცვიღაცები და ასაქსაქებენ ენას!.. რას არ ამბობენ, ღმერთო ჩემო!.. „ჩაესკვნა მზეო“, “დაბნელდა მთვარეო“, მოსწყდენ ვარსკვლავებიო“ და სხვანი. ასე გატლეკაც იქნება?!. მერე, ვინ ამბობს ამ სიტყვებს ასე ურცხვათ? სულ ის ხალხი, რომელსაც, სანამ ცოცხალი ვიყავი, ჩემი ლანძღვისა და ცილისწამების მეტი არაფერი გაუკეთებია!... ეჰ, ახლა კი მომასწრეს და კუდაბზიკობენ! ოჰ, რა შეურაცყოფაა ეს ამათი ფარისევლური სიტყვები და ცბიერი ალერსი!.. ამათ უნდათ, რომ მჭერმეტყველებით თავი გამოიჩინონ და გული იჯერონ.—უჰ, ძლივს არ გაათავეს!.. მადლობა ღმერთს!.. მადლობა ღმერთს!., ახლა კი თავს მანებებენ!.. ძლივს არ გადავრჩი!!.

აი, დახურეს კუბოს თავი... აჭედენ... აკაკუნებენ... ჩამიშვეს სამარეში.. მიწას მაყრიან... ახლა კი მშვიდობით, ჩემო სამშობლოვ!... ვნახოთ, იქ რაღა იქნება **აკაკი**.

(დასასრული შემდეგ ნუმერში).

ვარსკვლავი.

(აკაკის საფლავს.)

ვარსკვლავთა გუნდით ცის გუმბათი მიწას დასცქერის.
მიუწვდენია სილრმე მათი, ვით სული ერის.
იქნება, ზოგი იმათგანი უკვე მქრალია,
იქნებ, სიცოცხლე სხივოსანი ზოგმა დაჰლია.
გაჰქრა ვარსკვლავი,— მარა სხივი ჯერ ბწყინავს კიდე
და სივრცეს ამკობს ღვთაებრივი კიდითი-კიდე.
ჰოი, მგოსანო! ვით ვარსკვლავი
ბრწყინავდი შენა
და შეჰქმენ სხივთა მომხიბლავი
ელვა და დენა...
გაჰქრი—ცივი გაქვს აწ სხეული,
ძვალი და ხორცი, —
მარა ის სხივი გაბნეული,
შორს განატყორცი,
შენი გონებით, სულით შენით, —
ის კრთის და მოდის,
და, თუ გაჰქრება დროთა დენით,
ვინ იცის,— როდის?..
საუკუნეთა გრძელი რიგი
უნდა გავიდეს,
რომ დაუბნელდეს სხივი იგი
სამშობლო კიდეს...
რათ გინდა ცრემლი, ან გლოვანი?
თვით სული ერის,
ვით ცის გუმბათი ვარსკვლოვანი,
შენ შემოგცქერის,
შენ იქ ბრწყინავდი, ვით მგოსანი,
ვარსკვლავის დარად,
და იქ დარჩები სხივოსანი
მარად და მარად.

გიორგი გვაზავა.

აკაკის ხსოვნას

გზა-მშვიდობისა! შორით მინდა გიძღვნა სალამი...
ვერა გნახულობ... ხელს არ მიწყობს გარემოება;
თუმცა კი სულით შენთანა ვარ, მარა შენც იცი,
რომ ერთნაირათ არ ალაღებს ყველას დროება...
შენც ხშირათ გითქვამს, რომ მე მიყვარს ყოფნა სულ "ჩრდილში"
შეუმჩნეველათ... დაე, ვიყო დღესაც ამ ჩრდილში...
თავს არ დაგტირი ხმა-მყვირალათ, მარა შენც იცი,
რომ შენთანა ვარ განუყრელათ ცხადში და ძილში...
შენთვისაც მითქვამს, შენში მუდამ ორ კაცს ვხედავდი
ერთი მეორის წინააღმდეგს, შეუდარებელს:
კაცადს და ზევსურს. თუ პირველის გმობას ვბედივდი,
მეორეს მუდამ თაყვანს ვცემდი, ვით მახარობელს.
სუსტია კაცი! მინამ ცხოვრობს, ხორცის ლოთობა,
ხორცის ბღავილი წამს არ აძლევს მას მოსვენებას.
მასში ერევა ციურ ნაწილს და მის უნებლივ
ხშირათ მას უარს აყოფინებს თვის წმიდა მცნებას.
ჩვენი ცხოვრება, მინამ აქ ვართ, არის ბორძიკი
და ეს ბორძიკი, უმეტესათ ჩვევია რჩეულს:
ის-მეტის მგძნობი — ვერ იკავებს თვის გულს თავგასულს,
სწორ გზას ასცდება და აწყდება ათას გზა — ხვეულს.
მარა ჩვენ მაინც მას თაყვანს ვცემთ, როს წამიერათ
ხორცის ლოთობას, ამ მიწიერს, ის გმირათ დასძლევს,
შემოქმედებით გამსჭვალული, ზეკაცათ ქმნილი,
ქმნის და ქმნის სურათს, აზრს ფრთას ასხამს და ზეცათ
აკმევს.

სიკდილი არის ამნუსხველი ჩვენი ნასაქმის,
ჩვენს სისუსტეზე მაშინ მტრისაც სდუმდება ენა:
ჩვენ გვაფასებენ მაშინ მხოლოთ ჩვენი ნააზრით,
მინამ ამასაც არ შემუსრავს მძლე დროთა დენა...

გზა- მშვიდობისა! მომიტევე, რომ ვამბობ მართალს,
სხვების ტირილთან, რომ არ გესმის ჩემიც ხმა ხშირი.
ცხოვრების სიბძნეს, რო ჩავცქერი მკვლევარი თვალით
და, სხვათა შორის, სხვების მსგავსი არ მაქ საყვირი.
ცხოვრების გზაზე, მინამ დავალ, ვივლი სისწორით,
შენც კარგათ გახსოვს, ქედის მოხრას არ ვარ ჩვეული;
არა მწადია დიდების გზა ხელთ ვიგდო ხერხით,
„ჩრდილით" ამოვძვრე და ჩემს ერში ვიყო რჩეული...
გზა- მშვიდობისა, განწმენდილო ხორცთა ვნებისგან!

მჯერა, რომ კაცში ორ ნაირი სუფევს ბუნება,
ერთი მათგანი, უმდაბლესი, გაჰქრა დღეს შენში,
ხოლო მეორეს უკვდავსა ჰყოფს ხალხის რწმუნება.

Ახელი.

აკაკი.

აკაკი... რა ბევრ რამეს გამოთქვამს ეს ხუთი ასო ქართველი კაცის გულისთვის! აკაკი ქართველი კაცისთვის განსახიერებული გულისთქმაა, მისი იდეალები, მისი აწმყო, მისი მომავალი, მისი იმედი. აკაკი არის შემაერთებელი ცემენტი მთელი საქართველოისა, მეტს ვიტყვი, ის მთელი საქართველოს მოძრავი დაწესებულება იყო, სადაც შეგეძლო შეტყობა შენი გულისთქმის შესახებ ყოველი ამბისა... იმისი მოვლენა საქართველოს თვითცნობიერებისთვის საჭირო იყო განსაკუთრებით იმ დროს, როდესაც ის გაუჩდა მას თითქო მის ხორციელ არსებაში დაებუდა საქართველოს მფარველი ანგელოზი, ეამსა განსაცდელისას ის გამოჩდა და მიდუმებულ საქართველოს ამხნევებდა, აღვიძებდა, ათვითცნობიერებდა. ამხნევებდა ძველი გმირების მაგალითებით და უნერგავდა სამერმისო ბრწყინვალე იმედებს... აკაკი, რომელი ერის კუთვნილებაც უნდა ყოფილიყო, ის მისი სიამაყე და შვენება იქნებოდა, ის იყო დიდება ჩვენი ერისა...

საკვირველი იყო, როდესაც ის წერდა: დიდი დაკვირვების ნიჭი არ იყო საჭირო, რო შეგენიშნა მასში განსაკუთრებული, არაჩვეულებრივი თვისება წერისა. მისი 50წლის იუბილეის დღესასწაულობის დროს, ჩემთან ცხოვრობდა იგი ქუთაისში, ძლიერ მოსწონდა აწ ნეტარხსენებულს, ჩემი პატრა სახლი, განსაკუთრებით ამ სახლის გძელი შუშაბანდი, რომელშიაც უყვარდა სიარული. აქ ხშირათ, თუ მარტო დარჩებოდა, ეწვეოდა მას მისი მეგობარი მუზა, რომლის სტუმრობას შეიტყობდით, თუ იყავით სახლში, მით, რომ აკაკი ახმაურდებოდა, თითქოს იმღერისო... მაშინ უნდა მორიდებოდი, თვითონაც ცდილობდა მარტოთ დარჩენილიყო, მოძებნიდა ქაღალდს და კალამს და დასწერდა. გაკვირვებული ვიყავი, რომ ვნახავდი დაწერილს წმინდათ, რომ ერთ სიტყვასაც წაშლილს ვერ მოვძებნიდი. რამდენმეჯერ ჩემი გაკვირვება არ დამიმალავს და მითქვამს მისთვის: — საკვირველია, რომ ერთი სიტყვა ამ შენს დაწერილ ლექსში არ არის წაშლილი, გასწორებული. ნუ თუ მზათ გქონდა და მხოლოთ ქაღალდზე გადმოიტანეთქო. „ძმური სიტყვა“ — სათათრეთის კონსტიტუციის ზეგავლენით დაწერილი, რომელიც შეადგენს თერთმეტ ტაეპს, ე. ი. 44 სტრიქონს, მან დაწერა ნასადილევს, ძილის შემდეგ, 20 წამში 12 წიფობისთვეს. 1908 წ. იუბილეს წინა თვეში, წინ მიდევს მისი ხელნაწერი, ერთი სიტყვა არ არის, ან გასწორებული, ან წაშლილი. ჩემს გაოცებაზე მისი ღვთაებრი ღიმილით მითხრა: — ლექსი, ლექსთ წყობა, რითმა ჩემთვის ძნელი არაოდეს არ ყოფილა, არც მიფიქრია რითმაზე, თვითონ მოდის, თავი და თავი ჩემთვის იდეა არისო, ახლა მოხუცებაში რომ შევდგი ფეხი, მოხდება სიტყვას და ხანდისხან მთელ სტრიქონსაც წავშლიო, ახალგაზდობაშიკი ეს არ მემართებოდაო. მაშინ მე თითონ ვგრძნობდი მეფე ვიყავ, ვგრძნობდი შარავანდედი ვიყავ გრძნობებისაო. აკაკით პატარობიდან ვიყავი გატაცებული, ბოლოს კიდევაც დავუმეგობრდი, ვგრძნობდი ბუნებრივ სიახლოვეს, ის თითქო ჩემი ახლობელი იყო. ეს ასეც უნდა ყოფილიყო. რომელი ქართველი, პირადათ უცნობიც კი, არ გრძნობს მასთან, მისი სულისკვეთების გამომხატველთან, ნათესაურს სიახლოვეს!? მარა ორჯელ, თუ სამჯერ ვნახე აკაკი ის ჩემი აკაკი არ იყო. თმა ყარილი, აბურდული, დიდი მისი გამომეტყველი თვალები მის დიდ

შუბლის ქვეშ ღვთაებრივ გაბრწყინვებული გამოიყურებოდენ... ეს იყო სწორეთ ცით ჩამოსული მოციქული და არაჩვეულებრივი ადამიანი. ეს აკაკი მომეცლინა მე პირველათ მისი იუბილეს წინა დღეებში. აკაკის, როდესაც მან შენიშნა მისი დღესასწაული იღებს დიდი ეროვნული დღესასწაულის ხასიათს, დაეტყო აღელვება და, რაც ახლოვდებოდა დანიშნული დღე ამ დღესასწაულისა, ის უფრო და უფრო ღელავდა... მეტყოდა, როგორც ვხედავ, დიდი ამბავი იქნება და ამ შემთხვევაში უნდა მზათ ვიყო ჩემს პატივცემელთ შევხვდეო და სულ იმის ფიქრში იყო, როგორ შეხვედროდა აზღვავებულ საზოგადოებას. სწორეთ წინა დღით, თფილისს რომ უნდა გამგზავრებულიყო სადღესასწაულოთ, დაახლოვებით დღის 4 საათი, იქნებოდა შამომესმა აკაკის საწოლი ოთახიდან მისი ხმა, თითქოს მღეროდა, პატარა ხნის შემდეგ, შემოიჭრა ჩემს ოთახში ეს ჩვენი დიდება, ჩვენი სამლოცველო, სხივ მომფინარე თვალებით, ჩვეულებრივ აკაკურ ღიმს დაეთმო ადგილი მის სახეზე სერიოზულ გამომეტყველებისთვის. — იცი, სერგო, როგორ უნდა შევხვდე ჩემს პატივმცემელთ?

— მე წავიკითხავ ჩემს ლექსს, რომელიც დიდი ხანია, დაწერილია. მას მე მივუმატებ კიდევ და ამ შემთხვევისთვის უკეთესი არა მოიგონება რა. მინახავს აკაკი სცენაზე, როდესაც ის თავის ლექსებს კითხულობდა. მინახავს კერძოთ, შვენივრათ კითხულობდა, მარა ეს წაკითხვა სულ სხვა იყო: როგორც ეს მკითხველი არ ჩამოგავდა ჩვეულებრივ დროს ნანახ აკაკის, ეს იყო რაღაც აუწერელი ჩვენება...

მახსოვს, ასე იწყებოდა ეს ლექსი:

ის აღარა ვარ, რაც ვიყავ,
ძნელი ყოფილა ჭაღარა,
თამამათ ვეღარ გაკივის
ჩემი დაფი და ნაღარა .....

ეს იყო ის მგზნებარე, დიადი წამი, როდესაც აკაკი არ იყო მიწიერი, როდესაც ის ზეცას ენათესავებოდა და მასთან ქონდა კავშირი, მით ცხოვრობდა და შენც, უბრალო მომაკვდავსაც იქეთ გიტაცებდა, გაელვარებდა, მიგაფრენდა...

სერ. ბახტაძე.

მოგონება.

ოი მგოსანო — ვერ დაგივიწყებთ
სანამდი პირში გვიდგია სული,
შენი ტახტია შენივ სამშობლო
შეურყეველათ ეგ ჩვენი გული! —

—

ვინ მოელოდა, ვის ქონდა ფიქრათ, მარა გათავდა შვენიერი სიცოცხლე... აკაკი „სულიკო“, აკაკი „ჭიკჭიკა მერცხალი“ აღარა ყავს ქართველობას...

ის დიდი ხანია ცოცხლობდა ჩვენს სულში და გვეგონა — ხორციელადაც უკვდავი იყო.

და, როცა ითქვა — აკაკი ველარ იცოცხლებს — შევშინდით. შევშინდით, მარა შიშმა ვერ იხსნა სიკვდილი... მთაწმიდამ ვულში ჩაიკრა საშვილიშვილო სამარე.

გადაიცვალა ივერიის ბრწყინვალება!

უცნაური არ იყო, რომ პატარა სამშობლოს ასეთი დიდი მწერალი ყავდა?! ასე გვეგონა, მარა შემცდარი ვყოფილვართ.

თურმე, პატარა ერს მრავალი წყლული, ულეველი სევდა და გრძნობათ ამშლელი დარდები ქონებია!

საჭირო იყო ოლიმპიელი და განგებამ კიდეც მოგვივლინა...

მოვიდა ის მზე, პოეზიის უკვდავი ქურუმი — სიმღერათ იქცა, სხივებათ დაიბნა, გაგვათბო, გაგვაშუქა, ცრემლებათ დაიღვარა და ჩაქრა... ჩაქრა, მარა ბრწყინვალე ჩაქრობით დასთრგუნა სამშობლოს სიკვდილი. აკაკის სახელთან ერთათ უკვდავია მისი მშობელი ხალხიც.

ხან ცრემლებით თვალებზე, ხან ღიმილით ბაგეებზე, მრავალჯერ მოიგონებს სწორუპოვარს მადლიერი შთამომავლობა.

აკაკის მოგონება!!

მითხარით, რა მოიგონოს ქართველმა უშვენიერესი თავის სიცოცხლეში?! აკაკის ცხოვრება თვით მომაჯადოებელი ზღაპარი იყო, პოეზიით სავსე ზღაპარი! მისი ფიქრი, მისი ზრახვა, პოეზია და სამშობლო იყო.

ცხოვრობდა მოუსვენრათ, როგორც ფრინველი და უბინადროთ, როგორც ბიბლიური წინასწარმეტყველი.

აკაკი მთელ ქართველობას იცნობდა და აკაკის ყოველი ქართველი.

ამის მიზეზი, მგოსნის შემოქმედობის გარდა, მისი პიროვნებაც იყო. აკაკი არ იყო

ამაყი და მიუკარებელი. ის თავდაბლობის და სიყვარულის განსახიერება იყო. ყოველ მომაკვდავს ქონდა საშუალება მას გაცნობოდა და დაახლოვებოდა...

მახსოვს, როცა მითხრეს აკაკის გაგაცნობთო, არ დავიჯერე. ვიფიქრე, როგორ გავეცნო, მე, ვიღაც გიმნაზიელმა, საქართველოს დიდებულ პოეტს და ან რა ენით ველაპარაკო „თორნიკე“-ს ავტორს მეთქი! ერთი მეორეზე გამიელვეს მისმა ლექსება:

„აღმართ, აღმართ“, „სალამურ“-მა, „მიყვარს ქნარმა“ და... ჩემს კეთილ მასპინძელს ვუპასუხე: როცა აკაკი მობძანდება, უსათუოთ გავეცნობი მეთქი. თუმცა გულში კი გადავწყვიტე, აკაკის სტუმრობისთანავე სადმე დავმალულიყავ. და მართლაც, რამდენიმე თვი განმავლობაში ასეთის სიმხთალით გავურბოდი მოსალოდნელ ბედნიერებას და აკაკის შვენირ სახეს.

ეს იყო შვილი—რვა წლის წინეთ. მოწაფე ვიყავი და ქუთაისში ვცხოვრობდი თ. ბეჟან წერეთლის ოჯახში. მაისის დამლევს სასწავლებლიდან საზაფხულოთ დამითხოვეს. ბეჟან წერეთლის მეუღლე ნინომ, ბაგრატიონის ასულმა, საჩხერეში დამპატიჟა და მათთან ერთათ მეც გავემგზავრე. რკინის გზის სადგურზე გავიგე რომ აკაკი ჩვენთან ერთათ საჩხერეში მიდიოდა. სადგურის წინ, პლატფორმაზე მდგარი, დავინახე აკაკი საზაფხულო თეთრ ტანსაცმელში. მთელი იქაურობის ყურათღება მისკენ იყო მიპყრობილი და ის კი, მგონი, ვერც ამჩნევდა ამ განსაკუთრებულ ყურათღებას: დინჯათ და ჩუმათ დადიოდა ქვაფენილზე...

დარეკეს ზარი და მგზავრები მატარებელში შევედით. მე ცოტა დავიგვიანე. ვიცოდი აკაკის ახლო მეჭნებოდა ყოფნა და წინდაწინვე გეგმას ვადგენდი, როგორ მოვქცეულიყავ თუ ლაპარაკს დამიწყებდა. შეველ თუ არა ჩვენს კუპეში, დავინახე აკაკი და ნინა წერეთლისა.

—აა ვ—ო, ვ—ო! რაც მოხთეს-მოხთეს უნდა გაგაცნო აკაკისო,- ჩამესმა ტკბილი ხმა და დავიბენი.

აკაკი იღიმებოდა თავის შვენიერ ღიმილით. მე გავთამამდი, ქუდი მოვიხადე, მივუახლოვდი და ხელი ჩამოვართვი. მინდოდა ხელებზე მეკოცნა, მარა მოვერიდე. სულ რამდენიმე წუთში მუსაიფი გავაწყვეთ. კარგ გუნებაზე იყო აკაკი: მხიარულობდა, ლაპარაკობდა და მეც სულ განაბული ვისმენდი ყოველ მის სიტყვას. როცა შორაპნიდან საჩხერისკენ მიმავალ მატარებელში გადავჯექით, ვიღაც ორი ახალგაზდა ფოსტალიონი გადმოგვყვა. ისინი იდგენ აკაკის ახლო და თვალებს არ აშორებდენ.

გავიგე: თურმე თბილისისაკენ მიდიოდენ, მარა აკაკი რომ ნახეს, გადაწყვიტეს მარშრუტი შეეცვალათ.—აკაკი თავის დღეში არ გვინახავს და თვალი ვერ მოვაცილეთო,—მითხრეს. მე გამიკვირდა და ჩუმათ აკაკის გადავეცი მათი ნაამბობი. აკაკის გაელიმა და ნელის ხმითვე მითხრა—ნუ შეამჩნევინებ, იყვენ; თუ კი ჩემი ნახვა გაეხარდებათ—აქ ვარ, მეტი რა სარგებლობა უნდა მოვუტანოვო.

ერთ სადგურზე ახალი თანამგზავრი შევიძინეთ. აკაკის მოწიწებით ხელზე აკოცა და ლაპარაკში ჩაერია. როცა დაგვშორდა აკაკიმ თავის წყნარი სიცილით გაიცინა და თქვა—მაგ პატივცემულის გულწრფელობა არც მაშინ მწამდა, როცა ანაფორა ეცვა, არც მაშინ, როცა გაიპარცა და დუმაში თავი ამოყო და არც ამ წუთს, როცა ხელზე მაკოცაო...

იმ დაუვიწყარ ზაფხულს, სამი თვე დავყავი საჩქერეში. აკაკის სახლს ხშირათ ვესტუმრებოდი ხოლმე. მიკვირდა, რომ დიდებული პოეტის სახლი ისეთი მორთული არ იყო, როგორც სხვა წერეთლების სახლები. ძველებური, ხის დინჯღეული სკამები, სასადილო ოთახში გრძელი უბრალო სუფრა და ორიოდე ლოგინი, აი აკაკის სახლის მოწყობილობა...

ერთ დღეს, აკაკის წიგნები ვთხოვე. შემიძღვა ერთ ოთახში, სადაც წიგნთსაცავი ქონდა და მითხრა: აირჩიე რომელიც მოგეწონოსო. დავიწყე წიგნების თვალიერება. ერთმა წიგნმა მიიპყრო ჩემი ყურათღება და ფურცვლა დავუწყე. წიგნის ფურცლებზე აკაკის ხელით დაწერილი შენიშვნები ვნახე და დავინტერესდი. კარლოს მარქსის თხზულება იყო—„კაპიტალის“ მეორე ტომი.

— აი, ეს წიგნი, უსათუოთ წაიკითხე – მიმითითა მგოსანმა ერთ სქელ წიგნზე, საუცხოვო შინაარსის არი—ეს იყო Искусство съ соціологической точки зрѣнія—გიუიოსი.

— წაიღე, მარა არავის ათხოვო ჩემოვ—ო!

იცი? ჩვენ, ქართველები, ერთნაირათ ვექცევით წიგნებს და ფულებს: თუ გამოვართვით —უკან დაბრუნება გვავიწყდება, თუ ვათხოვეთ აღარ მოვითხოვთ უკანვე დაბრუნებას. ზედმეტი დარბაისლობით მოგვდის არა? ᲒᲐᲘᲦᲘᲛᲐ ᲐᲙᲐᲙᲘᲛ...

ვერ დავივიწყებ ერთ საოცნებო ზაფხულის ღამეს, როცა ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘ ᲕᲘᲐᲕᲐ ᲐᲙᲐᲙᲘᲡᲗᲐᲜ ᲯᲓᲝᲛᲘᲗ მის საუცხოვო აივანზე. ვარსკვლავებით მოჭედილ ცაზე მიმცურავი რგვალი მთვარე ვერცხლის ფერ სხივებს აფრქვევდა აკაკის შვენიერ სახეს. მადლიან ხელებზე დაეყრდნო ღვთიური სახე, და გრძნობა აშლილი, გადაყურებდა ღამის ბინდ—ბუნდში გახვეულ ჩიხურის ხეობას... აკაკი მეტყველებდა და მე—სმენა ვიყავი. ახალგაზდურის აღგზნებით ის მიამბობდა ქართულ მწერლობაზე.

— ბარათაშვილი პოეზიაში და ყაზბეგი პროზაში, აი ორი გენიოსი და დიდი მწერალი, რომლითაც შეგვიძლია ვიამაყოთ ქართველებმაო, ამბობდა აკაკი. უცნაური ნიჭი და უცნაური პიროვნება იყო ყაზბეგიო. და ბევრი ისეთი რამ მომიყვა მისი ცხოვრებიდან, რაც ბიოგრაფებს ან არ ცოდნიათ, ან და, ვერ უთქვამთ.

შემდეგ ილაპარაკა სხვა მწერლებზედაც. მოწონდა არაგვისპირელი, განდეგილი, მ. ადამაშვილი... განსაკუთრებულის აღტაცებით იხსენიებდა არაგვისპირელს და მის მოთხრობას, ერთი სალახის შესახებ.

— ამ მოთხრობას რომ წაიკითხავ, ასე იფიქრებ თვით ღმერთის დაწერილიაო... —ნინოშვილი დიდი ნიჭის პატრონი იყო, მარა უდროოთ გავარდა ხელიდან კალამიო... ახტაცებით მიამბო დავით კლდიაშვილზე.

— როგორ მოგწონთ ევდოშვილი მეთქი— შევეკითხე აკაკის.

— ევდოშვილი არ მომწონსო—მიპასუხა. მე არ დავეთანხმე და ვუმტკიცებდი, რომ მის ლექსებში ბევრი გრძნობა და სილამაზეა.

— ბატონო აკაკი, თუ გნებავთ გეტყვით ერთ მის ლექსს მეთქი.

აკაკიმ თანხმობა განაცხადა, მთვარისაკენ პირი იბრუნა და მეც დავიწყე: ,,მხოლოოთ ნაღველი სამუდამოა''.

როცა გავათავე მომიხედა და წყნარის ხმით მითხრა:

საუცხოოა, საუცხოო!... მე იმას კი არ ვამბობ, უნიჭოა მეთქი. არა! ნიჭით და ტემპერამენტით სავსეა, მარა გრძნობას რომ ხანდახან ძალას არ ატანდეს სულ სხვა იქნებოდა ევდოშვილიო...

ერთხელ ჩვენი ინტელიგენციის შესახებ მითხრა:

— ჩვენისთანა ფუქსავატი ინტელიგენცია არა მგონია რომელიმე ერს გააჩნდესო. თბილი ადგილების ძებნა და შოვნამ, ბანკებმა და სხვა დაწესებულებმა ზნეობით დასცეს ჩვენი ინტელიგენციაო.

— მე, ხომ ბევრში არ ვეთანხმები დასეელებს, მარა სიმართლე სჯობია ითქვას მათი ენერგია და გულწრფელი საქმიანობა განსაცვიფრებელია.., გაახსენდა ვანო მაჩაბელი... მწარეთ დაღონდა და მითხრა— ხომ იცი მისი სიკვდილი დღესაც საიდუმლოებით არი მოცულიო. როცა მოვკვდები ყველა გაიგებს ამ საიდუმლოებას. მე ყოველიფერი ვიცი მარა სიცოცხლეში ვერ მითქვამსო.

(შემდეგი იქნება).

ივ. ი—ანი.

ᲐᲙᲐᲙᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲔᲕᲜᲔᲑᲐ ᲡᲐᲩᲮᲔᲠᲘᲓᲐᲜ.

შვენიერი დღეა. საჩხერეს არაჩვეულებრივი სახე აქვს. სამგლოვიაროთ სადღესასწაულოთ არის მორთული. სამუდამოთ ეთხოვება თავის სახელოვანს შვილს. ეს გამოთხოვება სასიხარულოცაა და სატირალიც. საჩხერეს უხარია, რომ მის კერაზე შობილ ასე დიდებით მიასვენებს საქართველოს გული თფილისი და თან ტირის იმის გამო, რომ აკაკი შიდის მის მამაპაპეულ ადგილებიდან და აღარასოდეს დაბრუნდება.

დილის ცხრა საათიდან დაიწყო ხალხმა თავის მოყრა აკაკის ეზოში. მოდის გლეხები ახლო-მახლო სოფლებიდან. მეათე საათზე უკვე დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. ეზო და გზა სულ ერთიან გაივსო. გაისმის გლოვის ზარი. ათი რომ შესრულდა, მისმა მოგვარეებმა ძველებურის ტირილით გამოასვენეს აკაკი სახლიდან. ეზოში მყოფი ხალხი მუხლებზე დაეცა და ყველას ცრემლები მოადგა თვალებზე: აკაკი უკანასკნელათ ჩამოვიდა თავის სახლის კიბეზე.

კუბოს დაასვენებენ შუა ეზოში და წე-

რეთლის გვარის წარმომადგენელი გ. წერეთელი მოკლე სიტყვით მიმართავს საზოგადოებას. შემდეგ. იწყება წესის აგება, რომლის დასასრულ სიტყვას ამბობს ჯრუჭის მონასტრის წინამძღოლი მ. გაბრიელი. კუბოს გარშემო შემოიკრიბებიან ქართველი მწერლები და მოღვაწენი: ნ. ნიკოლაძე, გ. ლასხიშხილი, ნ. ჟორდანია, კ. აბაშიძე, იაკ. ფანცხავა, ევ. გეგეჭკორი, გრ. გველესიანი, ს. ფირცხლავა ს. აბაშელი. სან. შანშიაშვილი, გ. ქუჩიშვილი, ი. გედევანიშვილი, ი. გრიშაშვილი, გ. ტაბიძე, და სხ. გვამს ეზოდან წამოასვენებენ მწერლები და შემდეგ სადგურამდი. თითქმის სამი ვერსის მანძილზე, მოაქვთ უმეტესათ გლეხებს.

გზა გაჭედილია ხალხით და მეტათ გაძნელებულია მოძრაობა. მრავალი ხალხი დგას გზის პირათ ეზოებსა და მიდვრებში. კუბოს ყველაზე წინ მოუძღვება ექვსი შავათ გამოწყობილი ცხენოსანი სამგლოვიარო ბაირაღეღებით. მათ მიყვებიან მოწაფეები, ქალები და ვაჟები ვალობს ორი ხორო ღვიმის მონასტრის მონაზონების და ჭიათურის სამოქალაქო სკოლისა. ღვდელი ორმოც და ათზე მეტია. კუბოს რამდენიმე პატარა ქალი უფენს გზას.

გზაში ექვს ალაგას ლამიზი თაღებია გაკეთებული მწვანით შემოსილი, რომლებზე სამგლოვიარო ბაიარაღებია აფრიალებული. ბევრი სახლი, განსაკუთრებით ებრაელების უბანში, ხალიჩებით და შავებითაა მორთული. სახლების წინ ხალხი მოწიწებით დგას. გზაში პირველ სიტყვას (ლექსი) ლაპარაკობს ახალგაზდა პოეტების წარმომადგენელი ს. აბაშელი. მეორე სიტყვას ადგილობრივ გლეხების წარმომადგენელი დ. ტაბატაძე. შემდეგ, რიგრიგათ ლაპარაკობენ სავანელების, ებრაელების, სომხების წარმომადგენელნი და სხ.

როცა პროცესიამ მიახწია მოედანს სადგურის წინ, ხალხის რიცხვი იქნებოდა 12—15 ათასი. ამ მოედანზე ილაპარაკეს გრ. გიორგაძემ, ოს. ბარათაშვილმა, ილ. ჩიქოვანმა, ქუთ. ქალაქის თავმა, იოს. იმედაშვილმა, კ. ნინიძემ.

პროცესია დამთავრდა მესამის ნახევარზე, როცა მიცვალებულის გვამი შეასვენეს შვენივრათ მორთულს ვაგონში. გამოსვენებამ საუცხოვოთ ჩაიარა და წესიერათაც. ეს ნამდვილი ხალხური გამოსვენება იყო. საჩხერემ და მისმა რაიონმა ღირსეული პატივი სცეს თავის დიდებულს შვილს. ხალხი წრფელის გულისტკივილით და მწუხარებით შეიკრიბა მის კუბოს გარშემო და მთელი პროცესია იშვიათს მუდამ სახსოვარს სანახაობას წარმოადგენდა.

სრულ სამ საათზე მატარებელი დაიძრა საჩხერიდან. დარკვეთის სადგურზე მრავალი საზოგადოება შეხვდა ცხედარს და გადახდილ იქმნა მცირე პანაშვიდი. ყველას ყურათღება მიიქცია დარკვეთსა და ჭიქოუარას შუა მაღლობზე გაკეთებულმა აკაკის სურათმა, რომელსაც ქვე'მ აკაკის წარწერა ქონდა და კოხტათ ქართულ ტანისამოსში გამოწყობილი ბავში იდგა და აკაკის სახესკენ გაეშვირა ხელი.

ჭიათურის სადგურზე და ლიანდაგის მეორე მხარეს აუარებელი ხალხი დაგვხდა. ყველანი დაჩოქილნი იყვენ და სადგური შეემკოთ ხვეულებით და შავი ბაირაღებით. ბავშებს ხელში იის თაიგულები და უბრალო გვირგვინები ეჭირათ, რომლებიც სიყვარულით მიუძღვნეს დიდებული მასწავლებლის გვამს. ჭიათურელების შეხვედრამ, ყველაზე ძლიერი ჩაბეჭდილება მოახდინა. პანაშვიდის შემდეგ, სიტყვები წარმოთქვეს ადგილობრივმა ღვდელმა მფ. ჯაფარიძისამ, ივ. გომელაურმა, ორმა მუშამ და სხ. სიტყვები დამსწრეთ დიდათ მოეწონათ.

შემდეგ სადგურებზე სალიეთში, რკვიაში, ბოსლევში—ყველგან ეგებებოდა ხალხი კუბოს დაჩოქილი შავის ბაირაღებითა და თაიგულებით. ზოგნი საუცხოოთ მოერთოთ აკაკის სურათები.

შორაპანში ჩამოვედით შვიდის ნახევარზე. აქაც დიდძალს საზოგადოებას მოეყარა თავი. მატარებელი რომ მიუახლოვდა სადგურს, გაისმა სამგლოვიარო მუსიკა ყვირილის დეპოს ორკესტრისა, და ყველამ ქუდები მოიხადა. გადახ-

დილ იქნა პანაშვიდი, რომლის შემდეგ სიტ ყვები წარმოთქვეს მუშამ, დეპოს მოსამსახურემ და ქუთაისელმა მასწავლებელმა ბ. ნიორაძემ.

კუბო გადავასვენეთ მხატრულათ მორთულ მოკაზმულ დიდს ვაგონში თფილისიკენ წამოსასვენებლათ. მრავალი ხალხი დიდხანს არ შორდებოდა საქართველოს სიამაყის გვამს, რომლის სამარე, როგორც ერთს სამგლოვიარო ბაირაღზე იყო აღნიშნული. მთელი ქართველის ხალხის გულშია.

ბევრის მეტყველია და დიდათ მანუგეშებელი ის ერთსულოვანობა, სინაზე, გულ წრფელობა, მწარე სევდა, რომლითაც ჩვენი ხალხი ეგებება აკაკის ცხედარს: დიადი ეროვნული ძალა ჩანს ამ საერთო გლოვასა და პატივცემაში სასახელო მიცვალებულისადმი... (ს. ფ.)

აკაკის ცხედრის ჩამოსვენება თფილისში. გლოვა და სამზადისი.

აგერ, ათი დღეა, რაც გლოვის ზარმა მთელ საქართველოს ამცნო ამ ქვეყნათ გარდასვლა ივერიის უდიდეს შვილის, აკაკისა.

ამ ხნის განმავლობაში ერთს წამსაც არ გაშორებია მგლოვიარე საქართველო მწარე ფიქრსა და ნაღველს. ამავ ნაღველსა და გლოვაში გაატარეს ათი დღე საქართველოს დედა ქალაქმა თფილისმაც.

არ დარჩა თითქმის არც ერთი საზოგადოებრივ—კულტურული დაწესებულება თფილისში მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნებისა, რომ ხაქართველოს უღიდესი მწუხარება არ გაეზიარებინოს,

ყოველ დღე სხვადასხვა ადგილს იმართებოდა პანაშვიდები დიდის აკაკის სულის მოსახსენებლათ. ყველგან ბჭობდენ და თათბირობდენ იმის თაობაზე, თუ როგორი მონაწილეობა მიეღოთ დიდებულ კაცის წინაშე უკანასკნელი საამქვეყნო ვალის მოხდაში.

ცხედრის და გამოსვენებისა დაკრძალვის გამგე კომიტეტი ხომ მოუდმივ მუშაობდა. ყოველ დღე ქონდა კრებები თავად-აზნაურობის სადეპუტატო საკრებულოში და ცდოლობდა, რაც შეიძლებოდა, მეტის ზეიმით და ღირსებით შეხვედროდა ძვირფას ცხედარს.

ცხედრის მოსვენების წინა დღეს.

ამ დღეს ყველა იმ დაწესებულებაში, რომელსაც კავშირი ქონდა ცხედრის გადმოსვენების საქმესთან, განსაკუთრებით სადეპუტატო საკრებულოში, მეტათ ჩქარი და ფთხილი მუშაობა წარმოებდა, რათა ყველაფერი რიგიანათ გაეთვალისწინებინათ და ღირსეულათ დახვედროდენ ღირსეულის კაცის ძვირფას ნეშტს.

სადეპუტატო საკრებულოს, სადაც ბინა აქვს ცხედრის გადმოსვენება-დაკრძალვის კომიტეტს, დღისითვე მრავალი ხალხი მიაწყდა, განსაკუთრე'ით, თფ. სხვადასხვა საზოგადოებრივ-კულტურულ დაწესებულებათა წარმომადგენელნი და დაბა სოფლების დეპუტატები, რომელთაც მიიღეს საგანგებო სამგლოვიარო ნიშნები გულზე გასაკეთებლათ.

ხალხის დენა საკრებულოში საღამოს 10 საათამდი არ შეწყვეტილა. ამის შემეგ კი დაიწყო ჩვეულებრივი კრება კომიტეტისა · თფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თდ კ. ნ. აფხაზის თავმჯდომარეობით.

კომიტეტმა ამ საღამოს განსაკუთრებულის სიფრთხილით გადასინჯა თითქმის :ველა თვისი წინანდელი დადგენილება და, საჭიროების გვარად, შეცვალა და შეასწორა. კომიტეტმა აგრეთვე ხელმეორეთ განიხილა მუხლ-მუხლათ ცხედრის გამოსვენებისა და რკინის გზის სადგურზე შეხვედრის წეს-რიგი· განიხილა აგრეთვე მრავალი სხვა საკითხი, ხოლო ზოგიერთი დიდი კითხვა, რომელსაც კავშირი აქვს ცხედრის დაკრძალვის დღესთან, კომიტეტმა გაითვალისწინა, მარა საბოლოოთ არ გადასწყვიტა, რადგანაც სასურველათ სცნო ამ საკითხების გადაწყვეტის დროს მონაწილეობა ქუთაისის კომიტეტისა, რომელსაც მეორე დღეს, 5 თებერვალს მოელოდა ძვირფას ცხედართან ერთად. ასეთი საკითხთაგანია, მაგალითად, სიყვების წარმოთქმა ცხედრის დაკრძალვის დღეს. ამავ კრებაზე გამოირკვა, რომ საშუალო სას-

წავლებლების უფროს კლასების მოსწავლეებს გაათავისუფლებენ სწავლისგან, რათა შეძლება მიეცეთ სადგურზე წმიდა ნეშტის დახვედრისა.

ცხედრის გამოსვენების დღე

ხანგრძლივ ყინვებისა და სევდის აღმძვრელ ამიდის ნაცვლათ, 5 თებერვალს შვენიერი მზიანი და თფილი დღე დადგა და სამგლოვიარო დღესასწაულისთვის დიდებულათ მორთო მთელი თფილისი.

მზე დილიდანვე ძალას არ ზოგავდა და თანდათან ემზადებოდა, რათა „ღიმილით მიგებობოდა“ საქართველოს უგვირგვინო მეფეს, უკვდავების სხივებში ნათელ-ღებულს.

ამ დროს, რასაკვირველია. ხალხიც დიდს მოუთმენლობას განიცდიდა. ყოველი პატივცემელი ამ დიდ ადამიანისა ცდილობდა, რაც შეიძლებოდა ჩქარა გაეთავებინა თვისი შინაური საქმე და დროზე გასულიყო სადგურზე წმიდა ნეშთის შესახვედრათ.

სადგურზე

ყველა ის, ვინც მონაწილეობას იღებდა საქართველოს მოამაგის აკაკის დახვედრაში, სადგურზე უნდა გამოცხადებულიყო ნაშუადღევის საშის საათისთვის. მარა ჯერ ორი საათიც არ იყო, რომ ზღვა-ხალხი მოაწყდა სადგურს.

კომიტეტის წევრნი მაშინვე შეუდგენ ხალხის წესრიგით დაყენებას.

მატარებელს, რომელიც 3 საათსა და წუთზე მოვიდა ძვირფას ნეშტით, ხალხი საღმრთო მოწიწებით მიეგება. მატარებელი მორთული იყო ყვავილებით. ფანჯრებში გადმოკიდებული იყო სამგლოვიარო დროშები. მატარებელს დიდ ძალი ხალხი მოყვა. კუბო გამოასვენეს სადგურის მოედანზე, სადაც წინათვე ჩამწერივებულნი იყვენ წარმომადგენელნი, დეპუტატები, მოსწავლენი და სხვანი, სადაც გადახდილ იქმნა მცირე პანაშვიდი. აქ თფილისის კომიტეტის სახელით ბელეტრისტმა ი. ე. ზურაბიშვილმა შემდეგი სიტვა წარმოთქვა.

„არ მომკვდარა, — მხოლოთ ძინავს!

აი გულისთქმა, რომლითაც გიხვდება შენ „პირმზეო მგოსანო, საქართველოს დედა ქალაქი თფილისი!

შენ მიაღწიე სიკვდილ-სიცოცხლის საზღვარს, სადაც, შენივე თქმით, უნდა გაიყარნენ ეს ქვეყანა და ის სოფელი...

სიკვდილი და უკვდავება გარს დაგტრიალებენ და ერთმანეთს მეტოქეობენ!

სიკვდილმა ფრთა შეახო მხოლოთ ხორციელ არსებას.

სიმკრთალე მოფინა შენს შვენიერ სახეს, საუკუნოთ მიბინდა „სულის და გულის სარკმელნი“ — შენი თვალები, სამუდამო დუმილით შეკრა სიბძნის და სიცოცხლის მეტყველნი შენი ბაგენი...

მარა სიკვდილი, — „ეს უცნობ-ნაცნობი რამ გამოცანა“, მაინც უძლურების მლაღადებელია. მან ვერ შემუსრა ის, რაც მარადისობისთვის იყო შოვლენილი, ვერ მოაკვდინა შენი დიდებული სული, სული ტურფა, სული შემომქმედი, სული სამშობლოსთვის თავგანწირი:

იგი კვლავ ჩვენ შორის იტრიალებს, რადგანაც წილხვედრია უკვდავებისა.

და, თუ მაინც და მაინც ვგლოკობთ და ვტირით, — მხოლოთ იმიტომ, რომ ჩვენ მარტოოდენ ძე — ხორციელნი ვართ, მიწის შვილნი! ცხოვრების სიცხადით დაბეჩავებულნი ვერ ამაღლებულვართ იმ საიდუმლოებით აღსავსე განცდამდი, თუ რა სასწაულ-მომქმედია შენი გარდაცვალება, დიახ, გარდაცვალება და არა სიკვდილი!

თვით ეს გარდაცვალება განა სიმბოლო არ არის შენის უკვდავებისა?!

სამყაროს დიადი მანათობელი ჩასვენების ჟამს სხივნართად მოაფენს ხოლმე ქვეყანას თავის მრავალფრათ ანარეკლ ნათელს. შენც შენის გარდაცვალებით კვლავ მოგვფინე შუქი სულმნათობისა! ამ საიდუმლო გარდაქმნით კვლავ შეგვაერთე ერთის გრძნობით, ერთის მისწრაფებით, განგვისპეტაკე სულიერი ნდომანი; დავივიწყეთ ყველაფერი, რასაც კი საყოველდღეო, საპირადო იერი ქონდა

და ვეზიარეთ შენს წმიდა ანდერძს, „რომელიც გვასწავლის უზენაეს გრძნობას — სამშობლოს სიყვარულს!

მერე, როგორ სიყვარულს! სიყვარულს, რომელიც წმინდა სანთელივით წვავდა შენს ისედაც მგზნებარე არსებას, სიყვარულს, რომელიც შეუძლია წარმოშობოს მხოლოთ ცისა და დედამიწის კავშირმა.

დიახ, შენ ჩაესვენე ქვეყნის მანათობელივით და იმავე მანათობელივით კვლავ ამუაშუქებ.

ის წმიდა ადგილი მამა-დავითის საფარველ-ქვეშ, რომელიც შენმა მადლიერმა ერმა განგიმზადა საუკუნო განსასვენებლათ და, სადაც მოგელის შენი თანამოსაზრე ილია — იქნება არა სამარე არარაობისა და სიჩუმისა, — არამედ სავანე დასრულებელ სიცოცხლისა.

იქ შენი წმიდა ხატება, ლამპრის იდუმალ ნათლით გაშუქებული, გახთება სიმბოლო საქართველოს სხივოსან გულისა.

აქ-კი, ცხოვრების წიაღში, შენ მიერ გადმონაცემი უზენაესი ზრახვანი მოავლინებენ ქართველ ერს ახალ სასიცოცხლო ძალას და მით აღსრულდება შენი წინასწარმეტყველება; „სიკვდილში ვპოვებ მე სიცოცხლესა და ის იქნება თვით უკვდავება“.

მოედნიდან სამგლოვიარო პროცესია საღამოს ხუთის ნახევარზე დაიძრა.

(ს. ფ.)

აკაკის დაკრძალვა თფილისში.

როგორც საჩხერეში, ისე თფილისშიაც დასაფლავების დღეს შვენიერი ამინდი იდგა. წინა დღით ცუდი ამინდი იყო, ღრუბლიანი, საღამოს ჟამს წვიმაც წამოვიდა, და ამ გარემოებამ ყველა საგონებელში ჩააგდო, ვაი თუ ჩვენი საყვარელი აკაკის დაკრძალვის დღესაც ცუდი ამინდი იქნესო. მარა გათენდა კვირა დილა და ბრწყინვალე მზემ თვისი ცხოველმყოფელი სხივები მოფინა საქართველოს დედა ქალაქს. დილიდანვე აუარებელი ხალხი მიაწყდა ქაშვეთის ეკლესიას, საიდანაც უნდა წაესვენებიათ დიდებული მამულიშვილის ცხედარი. ქუჩებზე ტევა არ იყო ხალხის, და დიდი ჭაპანწყვეტა იყო საჭირო, რომ დელეგატებს, რომელთაც განსაკუთრებული ბარათები ქონდათ დარიგებული ეკლესიის გალავანში შესასვლელათ, მოეხერხებიათ ეკლესიასა და მის გალავანში შესვლა. წირვა დაიწყო ეპისკოპოზმა ანტონმა დილის 9 საათზე. წირვის გათავების სას მობძანდა საქართველოს ეკსარხოსი პიტირიმიც, რომელსაც სიონის ტაძარში წირვა გაეთავებია. ეკსარხოსმა მრავალ საღვდელოების თანადასწრებით გადაიხადა მოკლე პანაშვიდი. პანაშვიდის დაწყებადმი ფრიათ მჭერმეტყველი და შინაარსიანი სიტყვით მიმართა საზოგადოებას ეპისკოპოზმა ანტონმა, რომელმაც მოუწოდა ყველას, განურჩევლათ მიმართულებისა და წოდებისა, მტკიცეთ დაიცვან დიდებული მგოსნის მცნება და ანდერძი.

პანაშვიდის შემდეგ, სიტყვა წარმოსთქვა ყოვლად უსაღვდელოესობამ ეკსარხოსმა პიტირიმმა, რომელმაც, სხვათა შორის, თქვა: — მაპატიე, ძვირფასო თავადო აკაკი, რომ იძულებული ვარ სიტყვით მოგმართო არა იმ ენაზე, რომელსაც შენ ეტრფოდიო“. დიდი ჩაბეჭდილება მოახდინა დამსწრე საზოგადოებაზე, როგორც ეკსარხოსის სიტყვამ, ისე ეკსარხოსის მიერ პანაშვიდის ქართულათ შესრულებამ.

ნაშუადღევის ორის ნახევარზე ძვირფასი ცხედარი ეკლესიიდან გამოასვენეს. გარეთ ქუჩები ხალხით იყო გაჭედილი. მრავალი ასი კაცი იცავდა წესიერებას, მარა მიუხედავათ ამისა, ზოგჯერ ხალხის ზღვას ვერაფერი აკავებდა. პროცესიას წინ უძღოდენ ამქრები თავის დროშებით, იყო მრავალი შავი დროშა სხვა და სხვა საზოგადოებიდან. პატარა ქალვაჟნი მიცვალებულის წინ ყვავილებს კონავდენ, კუბოს წინ მიუძღოდა საღვდელოება ეკს. პიტირიმის მეთაურობით, იქით-აქეთ გვერდზე ქართველი მწერლები, უკან მიყვებოდენ ჭირი-

სუფალნი, შემდეგ დელეგატები და, ბოლოს, ხალხი. ხალხს არ უჩნდა, არც თავი, არც ბოლო. დანამდვილებით არ შეიძლება დასახელებული იქნეს დამსწრეთა რაოდენობა, ხოლო ცხადია ერთი რამ, ის რომ 100 ათას კაცზე გაცილებით მეტი იქნებოდა. იმდენი დელეგატები იყვენ, რომ აკაკიზე ცოტა უფრო ნაკლებ საყვარელი და მნიშვნელოვანი ადამიანის დასაფლავების დროს მარტო ეს დელეგატები იკმარებდენ ყველაფრათ. პროცესია გაჩერდა ერივნის მოედანზე, სადაც გაეკეთებიათ მაღლობი ადგილი ორატორებისთვის. პირველათ ილაპარაკა ბ-ნმა ნ. ნიკოლაძემ, როგორც აკაკის ამხანაგმა და სამოციანი წლების ერთმა დიდმა მოღვაწეთაგანმა, შემდეგ ილაპარაკა ბ-ნმა კ. აბაშიძემ და ე. გეგეჭკორმა, როგორც ორი, სხვა და სხვა მიმართულების წარმომადგენელმა საქართველოში. ამათ შემდეგ, მოკლე, მარა ფრიათ გრძნობიარე და გულის ამაჩუყებელი სიტყვებით მიმართა საზოგადოებას მოხუცმა დარბაისელმა ქართველმა მამადიანმა, ძველი სამცხე საათაბაგოდან.

მამადიანი ქართველის შემდეგ, ილაპარადკა თფილიის ქალაქის მოურავმა. ხატისოვის შემდეგ ფრიათ ლამაზი, გულწრფელი და შინაარსიანი სიტყვით მიმართა საზოგადოებას ბაქოსი, განჯისა და სხვ. მამადიანთა წარმომადგენელმა, ყოფილმა პირველი სათათფიროს დეპუტატმა ტოპჩიბაშევმა. სხვათა შორის, მან თქვა:-ტყვილა ვინმე ფიქრობს, რომ ქართველი ერი პატარა ერი იყოს. არა, კეთილშობილი ქართველი ერი დიდია თვისი დიადი სულით და ეროვნული იდეალებით, დიდია იგი რადგან მისი დევიზია: — იცხოვრე და სხვაც აცხოვრეო“..

შემდეგ, კიდევ ილაპარაკა მამადიანთა ორმა წარმომადგენელმა. ერივნის მოედანზედვე „მშაკის“ წარმომადგენელმა წაიკითხა აკაკისადმი მიძღვნილი „მშაკში“ მოთავსებული წერილი, ქართულათ თარგმნილი. ილაპარაკა “ორიხონის“ წარმომადგენელმაც. ბოლოს, პროცესია დაიძრა გოლოვინის პროსპეკტით. იქით-აქით მხარეზე ხალხი „შპალურათ“ იდგა. როდესაც პროცესიის თავი მამა დავითის აღმართს შეუდგა, ბოლო ჯერ კიდევ მეფის მოადგილის სასახლესთან ჩანდა. მამა დავითის აღმართზე ეკლესიამდი ასვლამდე გაეკეთებიათ არკა და ამაღლებული ადგილი, რომლის იქით აქეთ მხარეს ჩამწკრივებულიყვენ მგალობელნი ერთი მხრით, კახური ქულაჯებში გამოწყობილნი ვაჟნი და, მეორე მხრით, ქურთლურ შავ სამგლოვიარო ჩოხა-ახალუხში. საღამოს ექვსის ნახევარზე ცხედარი მიასვენეს მამა დავითის ეკლესიის გალავანში, სადაც საზოგადოებას სიტყვებით მიმართა თფილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლმა თ-დმა კ. აფხაზმა, თ-დმა ი. გელოვანმა და ქუთაისის ქალაქის მოურავმა ბ-ნმა ი. ჩიქოვანმა, რომელმაც სხვათა შორის, თქვა: ძველი ბაგრატის ნანგრევები ულოცავს საქართველოს გულს, თფილისს, ბედნიერებას. ბედნიერია ჩვენი თფილისი, რომ მისი მიწა ხდება ღირსი—მიიღოს, და მიისვენოს საქართველოს საუნჯე, ქართველთა სიამაყე, საქართველოს საუკეთესო მამულიშვილი.“ საღამოს 6 საათზე ჩვენი დიდებული და საყვარელი აკაკი მიაბარეს იმ წმიდა მთას, რომელიც გულში იხუტებს ორ საშვილიშვილო სამარეს. უკვე კარგათ ბნელოდა, როდესაც დაღვრემილი და სევდით აღსავსე ხალხი დაიშალა...

სიტყვა.

აკაკის დაკრძალვის დღე. ერივნის მოედანზე

ნ. ნიკოლაძისა.

ჩემზე უკეთ სხვები მოგახსენებენ აკაკის დიადი ნიჭის და ღვაწლის ღირსებას. მე მარტო იმას ავნიშნავ, რომ თვით თავის სიკვდილით მან ახალი შესამჩნევი სამსახური გაუწია ჩვენს ქვეყანას. ყველას დაანახა, რომ მის გლოვაში ერთი გრძნობა და გული ქონია მთელს ჩვენს ერს, მხარეს, წოდების, ქონების, ასაკის, სქესის და თვით პარტიის განურჩევლათ. მისმა კუბომ გარს შემოირტყა და ერთ ნებას ძმურათ დაუმორჩილა ყველა ჩვენი მიმართულების მეთაურები, რომელთაც წინათ ეგონათ, ვითომ მათ შორის საერთო არა მოიძებარა. იმედი ვიქონიოთ, არა მარტო გლოვაში, ყველა სხვა ჩვენს საეროვნო საქმეში და გასაჭირში გამოგვადგება ამის შემდეგ ეს მადლიანი მაგალითი. ხედავთ, რამხე-

ლა ჯარი გვყოლია? ოღონდ შტაბი არსათ გაგვაჩნია, ურომლისოთ ამ განსაცდელით სავსე დროში ერი არა თუ წინ ვერ წაიწევს, ვერც კი გასძლებს. იქნება აკაკის ხსოვნამ ის სასწაული მოახდინოს, რომ დღეინდელი ჩვენი ერთობა და ერთი ხელმძღვანელობის მორჩილება ისეთივე მუდმივი გახადოს მამულის სახე

ლა ფიქრობს ბრძოლის ველზე გასულ შვილზე, ძმაზე და ნაცნობ მეგობარზე, როცა გლოვის ბნელ ზეწარით გადაფარებულია მთელი ჩვენი პაწია ქვეყანა, აი, ამ დროს უცებ, რაღაც ჯადოსნური ძალით დაივიწყა ჩვენმა ხალხმა ყველა ეს გაჭირვება, დაივიწყა ყველამ თვისი პირადი გლოვა და მიეცა განუზომელ მწუხარებას, შეიმოსა ძაძით ერთი პირის დაკრძალვის გამო. ეს პირია თქვენ წინაშე მდებარე დიდებული ცხედარი, ჩვენი საყვარელი მგოსანი აკაკი. თქვენ უნდა გენახათ ის აუარებელი ხალხი, კაცები, ქალები და ბავშები, რომელნიც ხვდებოდენ ძვირფას ცხედარს მთელ ამ შორი გზაზე, საჩხერიდან თფილისამდი და მუხლ მოდრეკით, დამწუხრებული სახით თაყვანსა სცემდენ წმიდა ნეშთს. უნდა გენახათ თვალცრემლიანი, აქვითინებული სოფლის მცხოვრებნი, რომ გეთქვათ: მოკვდა საქართველოს უდიდესი შვილი და მის წმიდა ცხედარს მოკრძალებით საუკუნო სამარემდის აცილებს მადლიერი ერიო ეს იშვიათი სანალხო გლოვა არ არის გლოვა, მოწყობილი მეთაურთა და ჯგუფთა მიერ წინდაწინ განზომილი; არა. ეს არის გლოვა სტიქიური, მასის სულის კვეთების შადრევანსავით ამოხეთქვა — შეუჩერებელი ბუნებრივი საერთო დამწუხარება. რაშია საქმე? როგორ დაიმსახურა ერთმა კაცმა ასეთი დიდი, განუზომელი სიყვარული? რა იყო აკაკი ხალხისთვის და ხალხი აკაკისთვის?

მხოლოთ ორი მგოსანი მიუახლოვდა ყველაზე უფრო ახლო ქართველი ერის სულიერ განძს, მის შინაგან წმიდათა წმიდას, მის გრძნობებს და ნაციონალურ ტემპერამენტს. ისინი შევიდენ ნაციის უხილავ სალაროში, ჩაწვდენ მის სიღრმეს და გამოიტანეს, იქიდან საუკეთესო მარგალიტები და, შემდეგ, ის გაშვენიერებულ გასპეტაკებული, საუცხოვო მუსიკალურ პოეზიით გადაქმნილი ხალხსავე უკან დაუბრუნეს და ციური ჰანგებით გამოსჭედეს ეროვნული ორგანიზმი. ეს ორი მგოსანია რუსთველი და აკაკი. საჭირო იყო რვა საუკუნე, რომ რუსთველს მისცემოდა ღირსეული მემკვიდრე. თვისი მოტივებით, თვისი ჰანგებით ეს ორი მგოსანი განსხვავდებიან ისე, როგორც განსხვავდება მათი ეპოქა. აკაკი მეთორმეტე საუკუნეში იქნებოდა რუსთველი, რუსთველი მეცხრამეტე საუკუნეში იქნებოდა აკაკი. რა იყო აკაკის პოეზიის მთავარი ჰანგი? რის სამსახურათ გამოიყენა მან თვისი ზეციური ნიჭი? რას უგალობდა ის? აკაკი საზოგადო ასპარეზზე გამოვიდა სწორეთ მაშინ, როდესაც ჩვენი მშრომელი ხალხი მონობის მძიმე უღლის ქვეშ გმინავდა და ისიც მთელი თავის ძალ-ღონით ეკვეთა ამ საშინელ ბოროტებას. შემდეგ იმსხვრევა მონობის ჯაჭვი და ის ღვთაებრივ, სულის წარმტაც ჰანგებით უმღერის თავისუფალ გლეხის შვილს. ამ უკანასკნელში ის ხედავს იმ მაცხოვრებელ ძალას, რომელმაც უნდა შეუცვალოს ძირიან ფესვიანათ ელფერი ჩვენს საზოგადობრივ ცხოვრებას და გაუკაფოს ქართველ ხალხს ფართო გზა საკაცობრიო იდეალისკენ. თავისუფალი გლეხის შვილი ტოდნით ალბურვილი, აი, რა დაუდვა საფუძვლათ მის ღვთაებრივ პოეზიას. ახალმა ეპოქამ წარმოშვა ჩვენში საზოგადო დაწესებულებები: ბანკები, პრესა, თეატრი და ჩვენც ვხედავთ დიდებულ მგოსანს ცხოვრების ყველა დარგებში, „დროების“ დემოკრატულ ჯგუფის მებაირაღტრეთ. ის ებრძვის შეუპოვრათ ყველა იმათ, ვინც ამეფებდა ზრუნვას ჩინ — ორდენებზე და პირადულ ინტერესებზე. მისი მწვავე და იმავე დროს ტკბილი სატირა მუსრს ავლებდა საშინელ არევ დარევას იწვევს ქვემძრომ, ფლიდ „რუსეთუმეთა“ ბანაკში.

დგება ისტორიული ხანა 1905 წელი და ამოძრავებული ხალხი მიისწრაფის თავისუფლებისკენ. საყვარელი აკაკი აქაც იმავე დემოკრატათ და ოპოზიციონერათ ევლინება სამშობლო მხარეს, რადგანაც მას სწამდა, რომ წყალი ხორცს ბანს და სისხლი სულს. მოქალაქენო, ჩვენი უკვდავი აკაკი თავის უკვდავ ლექსებში უგალობდა... მხოლოთ მისი ძლიერი სიმები არა ნაკლებ ჟღეროდენ სხვა დაჩაგრულ ერთათვის. ის იყო პატრიოტი, ამ სიტყვის კეთილშობილური მნიშვნელობით. ერთა შორის თანასწორობა და ურთი ერთ შორის სამართლიანი მშვიდობიანი მეზობლობის დამყარება, ეს არის მისი ნაციონალური ჰანგების მთავარი სარჩული. დიდებული მგოსანი ბოლომდის შერჩა „დროების“ დებულებას. ერთათ დგომით ავშენდებით, ცალ-ცალკე დგომით დავიქცევით“. და განა ეს საამდროვო ლოზუნგი არ არის? განა დღესაც ამ საერთო ქარტეხილის დროს არ გვჭირია ერთად დგომა და ერთმანეთის ხელის შეწყობა? განა

კავკასიის ერები არ საჭიროებენ ძმურათ ხელის ჩაკიდებას და საერთო მტერთა წინააღმდეგ შებრძოლებას? დიახ, მოქალაქენო, ჩვენი სიამაყე აკაკი არ იყო მომხრე დაჩაგვრის და განადგურებისა და ეს დროშა არის იგივე დროშა კავკასიის ინტერნაციონალური დემოკრატიის. აკაკის გენიალურმა შემოქმედებამ, მისმა ღვთაებრივმა პოეზიამ დაუმტკიცა მთელ განათლებულ კაცობრიობას, რომ უკვდავია ერი, მისი წარმომშობი, რომ ქართველ ერს ჯერ არ უთქვამს უკანასკნელი სიტყვა. მშრომელი ხალხის სახელით მუხლს ვიდრეკ შენი ცხედრის წინაშე და ვაცხადებთ, რომ ერთათ ერთი მგოსანი უკანასკნელი საუკუნისა, რომელიც ღირსია საჯაროთ დაფნის გვირგვინით შემკობისა მსგავსათ ძველი საბერძნეთის გმირებისა, შენ ხარ, ძვირფასო საყვარელო აკაკი.

თფ. ქალაქის მოურავის ა. ი. ხატისოვისა

საქართველოს შვილნო და თფილისის მოქალაქენო!

გარდაიცვალა პოეტი. დაობლდა ხალხი. ერის შვენებას და პატრიარქს, რომელიც შეიცავდა მთელის თავის ქვეყნის სულიერ ძალას და იმედს და, რომელმაც გაანათა იგი პოეზიის ფერად სხივებით,—არ შეეძლო სრულათ გარდაცვალება. ჩვენს თვალწინ სწარმოემბს აკტი უკვდავებისა. რაც ძვირფასი იყო აკაკში, ის მუდმივია: სული ხალხისა. ეს სული ცოცხალია. ჩვენ წინ მისი სიმბოლო სდგას. სძინავს მას კუბოში, თუ სდგას ცოცხალი, გვირგვინითა და ქვეყნიური დიდებით შემკული. ორივე შემთხვევაში ის მახლობელია და დიდებული. როდესაც ძველ საფრანგეთში მეფე გარდაიცვლებოდა, გაისმოდა ხოლმე ხალხის ხმა: „მეფე გარდაიცვალა, გაუმარჯოს მეფეს“. და დღეს, როდესაც გონების თალწინ გვიდგას ხორციელი სიკვდილი, ვგრძნობთ, რომ ის ცოცხალია და მუდმივ იცოცხლებს უხრწნელი სული ტურფა საქართველოსი, რომელმაც დიდებულობა მიანიჭა აკაკის დაუჭკნობელ სახებას.

დაე, ხსენება მისი, ვით შვენიერი ლეგენდა, გადაეცეს ერთიდან მეორე თაობას და გადაეცეს იგი გზის მაჩვენებელ ვარსკვლავათ ტურფა საქართველოს ერთგულ შვილთათვის და მის წმიდა აღთქმათა გახორციელების გზაზე.

საუკუნო ხსენებას, გეუბნება დიდებულო პოეტო, საქართველოს ძველი დედა ქალაქი.

ქობულეთელი ქართველ მამადიანის გულო აღა კაიკაციშვილისგან. ერევნის მოედანზე.

ნამდვილო ქართველო, თავადო აკაკი!

ეს რაღაც სხვანაირი ამბავია დღეს, მოყრილა მთელი საქართველოს ერი, სხვა ერებიც ბევრია მათ შორის და გარს ახვევიან შენს ქუბოს, თითქოს რაღაცას გეხვეწებიან, დარჩიო, ანუ გაბარებენ რამეს საქართველოს შესახებ წარსულ დიდ წინაპრებთან, მარა არა მგონია, უენო ხარ, სულია ცოცხალი და უკვდავი ენა და სხეული ვერ იღებს იმ შედარებას.

არა, ვგონებ, მისთვის არიან ნოსულნი, რომ თაყვანი სცენ, ვითა ცხოველის მყოფელს შენს დიდებულს გვამს.

მეც ამათ რიცხვში ურევივარ, მოხუცე'ული, უძლური ქართველი მამადიანი, გამოგზავნილი სამესხეთოს მხარიდან, იმ მხარიდან, რომელიც სამას წელზე მეტია, მოიტაცა მტერმა, და მოაშორა საქართველოს.

გამომგზავნეს და დამავალეს, რომ მათ მაგიერათაც თაყვანი ვსცე შენს დიდებულ ცხედარს და, თუ მოვახერხე, ორიოდე სიტყვაც გითხრა.

საქართველომ მუდამ მტრის ბძოლაში ატარა თ ვისი სიცოცხლე, თუ სპარსნი, თუ ოსმალნი და სხვა ერებიც ღვრიდენ მათ სისხლს და აოხრებდნენ ქართველთა ერის სადიდებელ ნაშთებს და, ამ გვარათ, საქართველოს წამების ისტორია არის ისტორია, ქართველთა ერის. ნარა წამებულთა შორის განსხვავება არის. სამ ძმაში, მტერთან ბრძოლის დროს, მოხთება, რომ ორი მტრის ტყვიით განგმირული უკან მობრუნებულა, წყლული მოურჩენია და დარჩენილა თავის ოჯახში. მესამე-კი სულ მტერს წაუყვანია ტყვეთ და ჩაუგდია განუწყვეტელ სატან-

ჯველში. აი, სწორეთ ქართველმა ერმა, ოსმალეთთან მრავალ საუკუნის განმავლობაში, ბრძოლის დროს, დაკარგა ერთი მისი ძმა-მხარე სამცხესაათაბაგო, უპირველესი მისი მხარე, ის მხარე, სადაც იშვა უკვდავი შოთა და მრავალნი მებრძოლნი გმირნი და სამას წელზე მეტი იყო, რომ ეს დაკარგული ძმები ქართველებს თვალითაც აღარ უნახავს.

ბოლოს—კი, წარსულ რუს-ოსმალეთის დროს, მოხთა განგება და დალოცვილი რუსეთის მეომრების წყალობით კვლავ შამოგიერთდით ჩვენ მოძმე ქართველებს და ვსუნთქავთ ქართველ ერთან ერთათ. და, ამ დროს. სამასი წლის შემდეგ, სადაც შევინახეთ ქართული დედა-ენა, ჩვენც ველირსეთ დაგვენახა დიდებული აკაკი, სინათლე, რომელიც, ვითარცა უკვდავი, შენ აღუნთე ქართველ ერს.

მარა ჩვენი მხარე მეტათ დაბნელებული იყო და ერთი სანათით ვერ მოიფინება ყველგან სინათლე. და საჭიროა, რომ აქეთ უფრო მრავალი სანთლით მოვიდენ შენები და გეევდრები, დაუბარე ამ შენებს, რომ ცალი თვალი და ერთი ხელით სანთელი ჩვენსკენ დაიჭირონ, გვინათონ და გვიპატრონონ, აღვადგინოთ ჩვენი დედა-ენა, გვიხსნან იმ გაჭირვებიდან, რომელშიდაც ნამეტურ ახლა ვიმყოფებით. აღარ შეგაწუხებ, გაცხონოს ღმერთმა და ვისურვებ, რომ შენფერი შვილი აწ ბევრი გამოჩენოდეს საქართველოს, განათლებულს, შენ გან ანთებული ჟინჟღილით.

ჩ ვ ე ნ ი ა კ ა კ ი.

აღარ გვყავს ჩვენი აკაკი...

აღარ გვყავს ქართველი ერის უდიდესი მგოსანი!

აღსრულდა ბუნების ულმობელი კანონი; მან გაასწორა დიდებული უჩინართან და შეყარნა „მიწამან ერთგან მოყმე და მცხოვანი“.

დავკარგეთ მგოსანი მხცოვანი, მარა სულით ყრმა და დაუღალავი. მას სიკვდილამდე არ გაუგდია ხელიდან კალამი; ის დაეცაბრძოლის ველზე, შეიარაღებული ყველაზე უფრო მჭრელი იარაღით.

აკაკის წილათ ხვდა იშვიათი ბედი. ჩვეულებრივად მგოსნები, მოღვაწენი იმსახურებენ საზოგადოების პატივისცემას; აკაკიმ კი სიცოცხლეშივე დაიმსახურა საერთო სიყვარული, საერთო აღტაცება. განა არის ქართველი—აკაკი არ უყვარდეს, მას თაყვანს არ სცემდეს? თვალში ჩაუარდეს და ხელი ამოისვას?

რატომ ასე გვიყვარს აკაკი, რატომ ასე გვენატრება მისი ხილვა, მისი გაგონება!

აკაკი ერთათ-ერთი პოეტია უკანასკნელი საუკუნის, რომელმაც მიაგნო ერის სულიერ განძს. მის გრძნობარე სიმებს, მის განსაკუთრებითი თავისებურობას და ეს გაშვენიერებულ-გალამაზებული ერს მუსიკალურ ფორმაში წინ გადაუშალა.

ეს განძია—ერის ენა, მისი ესტეთიური გემოვნება და ტემპერამენტი. ეს სამივე ნაციონალური თვისება ჩაქსოვილია ერთიმეორეში, გადადუღებულია ერთ კალაპოტში, ამოსხმულია ერთ აგებულობაში და ეს აგებულობაა ერი. მხოლოთ ამ სულიერი განძით განსხვავდება ერთი ერი მეორესგან და იქნება ნაციონალური პირადობა.

და აკაკი ჩასწვდა ერის ამ სიღრმეს, გაიგო მისი იდუმალი მაჯის ცემა, შევიდა მის წმიდათა-წმიდაში, როგორც მოციქული, კვერთხით ხელში და თვალ-ხილული, იქიდან გამოიტანა ნაციონალური ცეცხლი და მით გაათბო ჩვენი გული.

გვიყვარს აკაკი, ეს ჩვენი აკაკია; და ეს იმიტომ, რომ ის თვით ჩვენ ვართ, არა თითოული ჩვენგანი, არამედ ყველა ერთათ, არა თითოული ქართველი, არამედ მთელი ქართველობა. მასში ჩვენ ვხედავთ უცხო სანახაობას, ვისმენთ საღმრთოს საღმრთოთ გასაგონსა, სულ განაბული ყურს ვუგდებთ საუბართა ტკბილთა ფრქვევას.

აკაკი ჩვენი გახორციელებული ესტეთიური გემოვნებაა. ჩვენი ზეციური სვინდისია; თითოული მისი სიტყვა რბილია ნაქსოვივით, მარა იმავე დროს მტკიცეა ნაჭედივით. ის ხვდება ჩვენს გულს ნექტარივით და სჭრის ისარივით; ის გვამსგავსებს ზეცათ ანაფრენს და ამავე დროს გვასწავლის დედამიწისკენ, გვითითებს ჯ აქ ბრძოლისთვის გვამზადებს.

სტილი თვით ადამიანიაო—ამბობს ბრძენი.

აკაკის სტილი, მისი გრძელი სიტყვა მოკლეთ თქმული — ეს თვით ქართველობაა, ეს ჩვენი ნაციონალური ტემპერამენტია, მის დიდებულ შვილში განსახიერებული. გახსოვთ თავისუფლების დროინდელი სახალხო ორატორები. მათი ნათელი მკაფიო ენამჭევრობა და გატაცებული აზოვნება. ვინ იცნობდა ამ ხალხს წინეთ, ვინ ხედავდა მათ ჯურღმულში ჩაცვინულთ, ბნელეთში დაკარგულ ნიჭიერებას? ამას ხედავდა მხოლოთ ერთი კაკი, მას იცნობდა მხოლოთ აკაკი. აიწყვიტა ხალხმა და ის უცებ ამეტყველდა აკაკისებურათ... მაშინ მივხვდი, რომ აკაკი მუდამ მეტყველებდა ხალხურათ. მისი ნაზი, ცქრიალა, მხიარული გუნება, მისი მკვეთი, მოკრილი, ნათელი აზროვნება, მისი დიდებული გამბედაობა და ყველაფრისთვის ხელის შეხება — ეს არის საერთო უღელში გაბმული ქართველი ერი, ერი აღსავსე ნაზი გრძნობით, მხიარული გუნებით, თავდადებული გამბედაობით, მუდამ მზათ შეებრძოლოს ღვთაებას მიჯაჭულ ამირანის გასათავისუფლებლათ. აკაკის მუზა — ეს თავისუფალი ხალხის აღმფრენაა. ამ დროს ხალხი მიიწევა მაღლა, მწვერვალისკენ, რომ იქ, მიუწვდომელ ოლიმპზე გაბატონებული ღმერთები ძირს ჩამოყაროს და მათ ალაგს თვით ადამიანები გაბატონოს. და, აი, აქ ხვდება მას აკაკის მუზა და მიესალმება: კეთილ იყოს შენი ამოსვლა, კაი ხანია გიწოდებ ამოსავლელათ...

რას უგალობს აკაკი?

რა არის ის ქვეყნიური, რასაც ის ასე ზეციურათ გამოსთქვამს?

აკაკი იყო ბუნებრივი დემოკრატი და ოპოზიციონერი. ეს მას წიგნიდან არ უსწავლია, შკოლიდან არ მიუღია. არა. ეს თვით მის ბუნებაში იყო ბავშობიდან სტიქიურათ ჩანერგილი, ძუძუსთან ერთათ მიღებული, მის ხასიათსა და პირადობაში გაქსოვილი. ის იყო ერთი მთელი პიროვნება, ერთნაირის მთქმელი და მქნელი. მისი კერძო ცხოვრება, მისი საზოგადოებასთან დამოკიდებულება ისე, როგორც მისი პოეზია, გაჟღენთილი იყო დემოკრატული და ოპოზიციონური სულით. მას არ უყვარდა დიდ-კაცობა, არ ეტანებოდა ფუფუნებას, ქონების შეძენას და შენახვას, ხალხს არ გაურბოდა და კაბინეთში არ იკეტებოდა. მას თამამათ შეეძლო ეთქვა თავის თავზე რუსთველის სიტყვები: პურათ და საქმელათ მივენდვე ჩემსა შვილსა და ცერასა". ის მიენდო მხოლოთ თავის კალამს, ხელში ეკავა თავის ქნარი და ის სახლში, თუ ჯარში ჩამოკრავდა იმ გრძნობიარე სიმებს, რომელიც მეორე დღეს მთელ ქართველობას მოედებოდა.

აკაკიმ, უეჭველია, დემოკრატობა მიიღო გამდელის ძუძუსთან, გლეხის ოჯახში, სადაც მან ექვსი წელი გაატარა და იყო მოწამე გლეხის უნუგეშო მდგომარეობის და, რასაც ოჯახთან ერთათ თვითონაც განიცდიდა. ოპოზიციონერობაა მის საგვარეულო ტრადიცია, გამოწვეული რუსეთის იმერეთში ჩამოსვლით. აკაკის მშობლები და ახლო ნათესავები ეკუთვნოდენ სოლომონ მეფის ნაციონალურ პარტიას და ებრძოდენ სახლთუხუცესის, ზურაბ წერეთლის რუსეთის მომხრე ბანაკს. უეჭველია, აკაკის ბავშობიდან ექნებოდა გაგონილი თვისი ნათესავებისგან ამ დიდებული ტრაგედიის უმთავრესი აკტები და მან თავიდანვე შეიძულა მოღალატობა, ორგულობა, ძალმომრობა და პატივმოყვარობა.

და, აი, აკაკის პოეზიის მთავარი მოტივები, მისი ჰანგები აწყობილია დემოკრატულ და ოპოზიციონურ სიმებზე. ის ებრძვის გლეხთა დაჩაგვრას, ბიუროკრატულ თვითნებობას, ნაციონალურ დაბეჩავებას; ქვეყნის უბედურებას ის აწერს ზურაბ წერეთლის დიდ-კაცობას, ჩინების და ოქროებით მოვაჭრე წოდებას, ის გმობს პირმოთნეობას, გაუტანლობას, ცრუობას და მოღალატობას. ერთი სიტყვით, ის დგას ხმალ-ამოწვდილი და მას გადაკრავს ყველა დუხჭირ და ვერაგულ მოვლენას. ის აქ დაუღალავია, გაუჩერებელი მებრძოლია. თავის ბასრ კალამს მუდამ და მუდამ ლესავს ნაღველში და მედრათ ცელავს ბოროტების ყანას. ის არ ინდობს არავის და არაფერს, არც თავისიანს, არც სხვისას, არც მეგობარს, არც გარეშეს, თუ კი მათ დაატყო ზნეობრივი წაფორხილება და საზოგადო საქმისთვის გადადგომა. ,,მათი საქმე ერთი ლუკმა პურია, გადაუგდებ, გაჩუმდება მურია'' — სწერს პოეტი. არის ბანკების, თუ მარშლების არჩევანი, ლიტერატურული, თუ საზოგადობრივი შეჯახება — აკაკი გაჩენილია იქავე, ისარს გადასტყო-

რცნის მოპირდაპირე ბანაკში. მისი საუბარი ტკბილი და მწვავეა, მიმზიდველი და გესლიანია, სიცილის და ტირილის მომგვრელია. სწორეთ მის კალამზე ითქმის ,,ხმალი ბასრისა მჭრელია''.

აკაკი ჩვენი საზოგადო ზნეობის უდიდესი და უძლიერესი დარაჯია: ამიტომ იყო ის ვერ თავსდებოდა ვერც ერთ ჯგუფში და ბანაკში. მისი მუზა ვერ ურიგდებოდა ვერავითარ არტახებს, ვერავითარ შებორკვას, ის უნდა ყოფილიყო სრული თავისუფალი და დამოუკიდებელი, რომ უმაღლესი დანიშნულების შესრულება შესძლებოდა. მისი ერთათ-ერთი არტახები მისი მთავარი მოტივი დემოკრატული და ოპოზიციური სულის-კვეთებაა; ამ მერანი დან ის არასოდეს არ ხტება და მას ერთგულათ ემსახურება; აკაკი მუდამ და ყოველთვის ყოველგან და ყველაფერში თავისთავათ რჩება, ის უგალობს თავისუფლებას, მაღალ ზნეობას და სამართლიანობას. მისი პიროვნება უაღრესათ მთლიანი და არმონიულია; მისგან ვერ ჩამოსჭრი ერთ მცირე თვისებასაც კი ისე, რომ მთელი სულიერი სხეული არ დაიშალოს. აკაკი უდიდესი ზნეობრივი პიროვნებაა. მხოლოთ ასეთ პირს შეეძლო ემხილა ჩვენი სიდუხჭირე და ეს მხილება ჩვენ უპროტესტოთ, დამსახურებულათ მიგვეღო. აკაკი ისეთ მწვერვალზე იდგა, რომ მას ვერავინ ტალახს ვერ ესროდა, ვერავითარ ქვენაგრძნობას და ანგარებას ვერ დასწამებდა. ის მზესავით მუდამ ნათელი და მოლიმარი, სპეტაკი და პირდა-პირი, ერთნაირათ ათფობდა თვისი შუქით ყველას, მის მტერსაც კი. აკაკი არასოდეს არ იმეტებს ადამიანს მთლათ ერთნაირათ ის ესვრის მას ისარს, მარა ესვრის მის რომელიმე სიდუხჭირეს, მის საძრახ თვისებას, ხოლო თვით ადამიანს ტოვებს ხელშეუხლებლათ; მას არ ავიწყდება, რომ ქრისტემ ავაზაკებშიაც კი ადამიანი დაინახა. აკაკის მუზა არის დამსჯელი და მოსიყვარულე, ტკბილი და მწარე, რთული ტ სადა. ეს კონტრასტები, რომელნიც ცალ-ცალკე აღებული არავის არ მოსწონს, აკაკში შეერთებულ შედუღებულია ერთ მთლიან უცხო სანახაობათ. ვინც მას ერთხელ იხილავს, მუდამ მისი ნახვა მოუნდება. ვინც ერთხელ წაიკითხავს მის ლექსებს, მას მუდამ მისი კითხვა მოენატრება.

მხოლოთ ორმა მგოსანმა დაისადგურა ქართველი ერის გულში, ეს არის — რუსთველი და აკაკი. და ეს იმიტომ, რომ მათ შორის ერთი ძირითადი მსგავსებაა: ორივემ ერთნაირათ მიაგნო ერის სულიერ სალაროს, მის წმიდათა წმიდას და ეს მუსიკალურ წყობილ-სიტყვაობით ააჟღერა. ორივეში პირველ ყოვლისა ჩვენ გვიტაცებს საუცხოვო ჰარმონია, გვატკბობს მათი მუსიკა. რამდენს ვეფხის-ტყაოსნის ნახევარი სიტყვაც არ ესმის, მარა მისი გაგონება არ მოსწყინდება, განსაკუთრებით სოფელში. რატომ? იმიტომ რომ ის უაღრესი მუსიკალურია, ხოლო მუსიკა მარტო სმენას მოითხოვს. მუსიკა უმაღლესი ხელოვნებაა; მგოსანი, რაც უფრო უახლოვდება ამ ხელოვნებას, მით უფრო მაღალი ხელოვანია. და მას ერთნაირათ მიუახლოვდა რუსთველი და აკაკი. მათ გამოსახეს ერთი ძირითადი პსიხიური თვისებები და ამიტომ ისინი იწამა ერმა და შარავანდედით შემოსა.

და, აი, დღეს ჩვენ საუკუნო კარებამდის ვაცილებთ ამ ჩვენი დროის რუსთველს, ჩვენ საყვარელ აკაკის. დღეს სამარადისოთ მოგვშორდება ის, რაც მასში მომაკვდავია, ხოლო ის, რაც მასში უკვდავია რჩება ჩვენთან, ქართველ ერთან და, სანამ ქვეყანაზე იარსებებს თუნდაც ერთი ქართველი, — იარსებებს ჩვენი აკაკი.

დღეს მადლიერი ქართველი ერი თავის უდიდეს შვილს საჯაროთ შეამკობს დაფნის გვირგვინით და უკანასკნელათ გამოეთხოვება:

მშვიდობით, ჩვენო აკაკი, შენი უკვდავი სავანე ჩვენი გულია...

ნ. ჟორდანია.

აკაკი და ხალხი.

დღეს ასაფლავებენ საქართველოს სიამაყეს, ქართული ენის სწორუპოვარს ხელოვანს აკაკის. მთელი ქართველობა თვალცრემლიანი აცილებს მის წმიდა ცხედარს. თვით აკაკის არაფრათ წამდა გასვენების ცერემონია; იტვის თვალით უყურებდა იგი ყოველივეს. რასაც კი მიცვალებულის გარშემო ჩადიოდენ ხოლმე, და კიდეც აღბეჭდა ეს შეხედულება „სიზმარში“. მარა მასაც სჯეროდა, რომ ბავშვები, ქალები და მდაბიო ხალხი, ე. ი. დემოკრატია და ერის ის ნაწილი, რომელიც ყოველთვის და ყველაფერში უფრო გულწრფელია, მისი დაკარგვით ყველაზე მეტათ

დამწუხრდებოდენ. არც უღალატნია მის წინათგრძნობას. ეს ასე არის სწორეთ და მისი რწმენაც საფუძველიანი იყო.

როგორც თითონაც აღუნიშნავს და მისი თანამედროვენიც მოწმობენ, (იხ. გ. თუმანიშვილის წერილის), აკაკი და მისი პოეზია თავდაპირველათ ქალებმა და ხალხმა შეიყვარეს. „ხალხმა მიცნო და ხალხმა აიძულა ინტელიგენციაᲐ, მასაც ვეცნეო“, არა ერთხელ გამიგონია მგონსნისაგან.

ასეც უნდა მომხარიყო. აკაკი ყოველთვის წინააღმდეგი იყო ჩვენს ინტელიგენციაში და მაღალ წრეებში გამეფებულ ბალიაღობისა. სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანვე შეეჭრძოლა იგი მაშინდელს ძველ თაობას, რომელმაც „აკაკიები-ბაკაკიების“ სახელით მონათლა მთელი ახალი თაობა, ხოლო თვით აკაკი, ქართული ენის შვენიერებათა ეს დაუშრეტელი წყარო ენის გამრყვნელათა გამოაცხადა. ებრძოდა აკაკი თავის წოდებასაც, როცა ამათ დაიჭირეს ხელში ცხოვრების საქმე და, ადამიანის ჩვეულებრივი ლოღიკის თანახმათ, თვით შეიქნენ იმავე ბალიაღობის დამცველნი. ებრძოდა აკაკი მაზე უფრო ახალგაზდებსაც, რადგან ვერც მათში დაინახა და მოუკიდებელი, ხალხის გრძნობათ გამომთქმელი და მისი ნების ამსრულებელი მოღვაწეები. არ იყო აკაკი კმაყოფილი არც იმ მიმართულებით, რომელსაც გაყვა უკანასკვნელ ხანებში ჩვენი დემოკრატია და მშრომელი ხალხი, მარა ყველაზე მეტ პატივისცემით მაინც უკანასკვნელს ეპყრობოდა და გულახდილათ განუცხადა მას თავისი გრძობა და შეხედულება. (იხ. ლექსი „ზოგი რამ“, უძღვნის ს.-დ-ს) თამამათ შეგვიძლია ვთქვათ, რომ აკაკი ამ მხრივ შეუდარებელი იყო. მან არ იცოდა ნათელ-მირონობა საზოგადო საქმეში. აქაო და, ეს მიმართულება პატრიოტულია და მის ცოდვებს ხელი უნდა დავაფაროთ, არ უთქვამს არასოდეს ჩვენს უაღრესს პატრიოტს, ის ებრძოდა ყველას, თუმცა მისი ზღვა გული ყველას იტევდა და განუსაზღვრელი ნიჭი ყველასთვის სანუგეშო რასმე შექმნიდა ხოლმე.

აი რით აიხსნება, ის რომ მტერი და მოყვარე, მეგობრები და თაყვანის მცემელნი, და თვით ისინიც კი, ვიცნ ცოცხალს შეწუხებისა და წყენის მეტს არაფერს აყენებდენ, დღეს თვალცრემლიანი მისდევენ მის ცხედარს. დიახ, იგი ყველას კბენდა, მარა ყველასი გამკურნებელი მალამოც თანა ქონდა.

დღეს ბრმაც კი დაინახავს, რომ აკაკიმ თავის გარშემო მართლაც მთელი ერი შემოკრიბა. ეს ისეთი ტრუიზმია, რომ მისი გამეორებაც კი უხერხულათ მიმაჩნია. აკაკის სიმაღლემდე არც ერთს ჩვენ მოღვაწეს არ მიუხწევია, ყველას სახელი სხვადასხვა ჯგუფთა და მიმდინარეობათა შორის არის განაწილებული. თუ ერთს დემოკრატია ეპატრონება, მეორე შეძლებულ კლასთა, ან მისი ხელქვეითი ინტელიგენციის საკუთრებათ არის ცნობილი. მათი ჯგუფობრივი ხასიათიც აშკარაა და თითოული მათგანი თავისუფლათ ეტევა ამ ფარგალში.

სულ სხვაა აკაკი, მას ყველა ეპოტინება, ყველას უნდა მისი შარავანდედის სხივი აწილადოს. უფლებაცა აქვს, განსვენებული იაკობ გოგებაშვილის თქმისი არ იყოს—„აკაკი საქართველოა“, საქართველო კი ყველა ქართველის სამშობლოა და, რომელი ჩვენგანი დაუთმობს მას სხვას, თუნდ ქართველსავე!! მოსწყვიტეთ ახალ საქართველოს აკაკი, ჩამოაშორეთ ჩვენს კულტურას ყოველივე ის, რაც აკაკის მოღვაწეობაზე არის დაყრდნობილი, ან ამ ბუმბერაზ ხის ტოტებს, რომელიც მის ამონაყარს წარმოადგენს, და დაინახავთ, რომ მთელი ნახევარი საუკუნით და მეტითაც უკან დავიხევთ.

რა თქმა უნდა, ასეთი სიდიადის მიზეზი მარტო მისი პიროვნება არ არის; პირიქით, თვით აკაკი არის ჩვენი ერის სიდიადის, მისი გამოფხიზლების ნაყოფი. მარა, რადგანაც ერმა მის არსებაში გამოასურათხატა თვისი შემოქმედების უმაღლესი ძლიერება, თვით იგიც საოაყვანო გახდა.

არ ვიქნები, მგონია, შემცთარი, თუ ვიტყვი: ქართველი დემოკრატიის ისტორია სწორეთ აკაკის გამოსვლით იწყებათქო. აკაკის გამოსვლამდი ჩვენი მწერლობა თავისთვის იყო, ხალხი კიდევ თავისთვის. სწორეთ აკაკის პირით მოითხოვა ხალხმა თვისი შესაფერი ადგილი მწერლობაში და, საზოგადოთ, კულტურის წარმართვაში. აკაკიმ შეიტანა მწერლობაში ხალხური ენა, მან აქცია ქართული მწერლობა ხალხურთ ენა მან შეასისხლ-ხორცა ისინი. მისივე დახმარებით მოხდა ის სასწაულიც, რომ ჩვენი სამწერლო ენა იგივე სახალხო ენაა და ამ მხრით ქართველობა ბევრს სხვა მოწინავე ერებზე უფრო ბედნიერია.

პირველათ აკაკიმ განაცხადა, რომ ერი თვით ხალხია; ხალხია საერთო საქმეების წარმმართველიო. ხალხში პოებდა იგი თვისი ზე-შთა-

გონების წყაროსა, მასში ეძებდა შემოქმედების მასალასაც. იგივე ხალხი მიაჩდა მას უდიდეს პოეტათ და ბრძენათაც ეს თვისი შეხედულება შეინარჩუნა მან ბოლომდი, რასაც მოწმობს მისი ანდერძიც.

სწორეთ ამ მხრით არის ყველაზე უფრო შესანიშნავი მისი მოღვაწეობა.

მიუხედავათ იმისა, რომ უფრო ხშირათ ჩვენი მგოსანი წარსულს უმღერდა და იქ ეძებდა თავის იდეალს, მას ღრმათ სწამდა თანამედროვე ხალხის გონიერი ალღო და მხოლოთ მისგან მოელოდა ,,ტყვეობაში მყოფ სატროფოს'' განთავისუფლებას.

ეს რწმენა განსაკუთრებულ ადგილს უთმობს ჩვენს პოეტს ძველ საზოგადო მოღვაწეთა შორის. თუ სხვა პოეტები გაკვრით და შემთხვევით შეჩერდებოდენ ხოლმე ხალხზე, აკაკი მას ხშირათ უბრუნდებოდა და უმღერდა შრომას და შრომის შვილს. მართალია, ის არ იდგა პროლეტარულ თვალსაზრისზე, არ ინაწილებდა ჩვენი წმინდა წყლის დემოკრატიის მრწამს სავსებით, მარა, მისი მოსწრებული თქმისა არ იყოს, ,,არსად არ უთქვამს: არ გაუმარჯოს პროლეტარსო'' და ვერც იტყოდა. როგორც ხალხის გულის მესაიდუმლე, ,,მუდამ მასთანა მყოფელი", აკაკი თვისი არსებით გრძნობდა ხალხის ძალის სიდიადეს და ხალხთან იყო განუყრელათ.

იმ დროს, როცა ჩვენი სხვა მოღვაწეები ხალხის კანის ცვლით შეშინებულნი, ან მისი ამოძრავებით დაფრთხალნი განზე იდგენ, თუ არ ებრძოდენ მას, აკაკი ხალხს, მის სტიქიას უმღერდა.

აბა, გაიხსენეთ, რომელი ჩვენი პოეტი შეხვდა ისეთი თანაგრძნობით გლეხთა გათავისუფლებას, როგორც აკაკი? პირველათ მან უმღერდა ,,გაპუტული გლეხის შვილს'' თავისუფლება მისმა უკვდავმა „ნანინამ" აუწყა გლეხს გათენების მოახლოვება; იგი მიეგება სიხარულით გლეხის შვილის თვალის გახელას!..ნ

აკაკი იყო ერთათ ერთი პოეტი ჩვეში, რომელმაც მერცხლის ჭიკჭიკათ მიიჩნია ოთხმოციან წლების რუსეთის გამათავისუფლებელი მოძრაობა.

აკაკი არ შეუშინებია არც 1904 წელს აბოლოქრებულს მოძრაობას. მხოლო მას არ მიუბრუნებია ამ დროს ზურგი ხალხისკენ იმის გამო, რომ ზოგიერთი მხარე ამ მოძრაობისა მას არ მოსწონდა.

„აი, ეს არის ის დიდი ძალა,
რომელსაც ქვია რაღაც სტიქიაო.

იცნო მგოსანმა თვისი გამჭრიახი გონებით ეს დიდი ისტორიული მოვლინება და ხალხის გამოფხიზლებით კმაყოფილმა უგალობდა მას თვისი „რწმენა"

მადლობა უფალს, რომ მოვესწარი
ჩემი სურვილის ასრულებასა
და ვით ბულბული, დაბერებული
მეც დროს ვუგალობ „ქებათ--ქებასა"
მართალი არის სისხლი იღვრება,
არა მოითხოვს ამას ბუნება!
წყალი ხორცსა ბანს და სისხლი სულსა,
ამს გვიმოწმებს თვით ქრისტეს ენება.
თვითო-ოროლა კარგიც იჭრება,
რომ იმარგლება სიმიდის ყანა,
მარა ანიტომ მის გათოხნაზე,

ხელ იღებს ხოლმე ქვეყანა განა?
მყარალ ბალახებთან ზოგჯერ უეცრათ
იჭრება ხოლმე ვარდი და ია!
საქმე არ არის ერთი და ორში!..
საქმეა მხოლოთ თვით იდეია!!
ხალხი მღელვარებს ვაშა მის ღელვას!?...

როგორც ხედავთ, მუდამ ხალხის გრძნობათა გამომთქმელი და მასთან მყოფელი არც აქ ღალატობს იგი მას.

პრაქტიკულ პოლიტიკაში ჩვენი ხალხი გასაზღვრულ მიმართულებას გაყვა. ეს მიმართულება თითქმის ყველა ძველებმა და მის გარეშე მდგომმა ახალგაზდებმაც აითვალწუნეს, ხალხის მტრათ გამოაცხადეს. აკაკიც არ ეთანხმებოდა მას ბევრში; მარა მიმართულება საახალხოთ იქცა, და აკაკი ხომ ხალხს არასოდეს არ გაქცევია; მან ხალხი, მიმართულეაც შეიგუა და შეიტკბო, შესძლო მისი პირუთნელათ დაფასება;

შენი შეცდომა სჯობია,
მძინარის შეუცდენასა!..
გიწუხებ. მარა შენს ძვირს კი
ვერ ვათქმევინებ ენასა!

სადაც გულწრფელი შრომაა,
იქ ნუღარაფრის გრცხვენია!
შეცდომა წარმავალია—
ქერცლივით გასაცვენია;".

მეუბნება აკაკი ამ მიმართულებას.

შემცდარი იყო, თუ არა რამეში ეს მიმართულება, ამის კვლევას ნუ გამოვუდგებით. შეგვიძლია არ დავეთანხმოთ ამაზე მგოსანს, მარა კითხვა ეს კი არ არის, ძვირფასი და და-

საფასებელი აქ ისაა, რომ აკაკიმ სწორეთ იმ დროს იცნო და საჯაროთ აღიარა ამ მიმართულების **გულწრფელობა**, როცა მას ყვავი და ყორანი ესეოდა, ბრუნდი და მართალი მის მოღალატეობაზე ლაპარაკობდენ და თვით მისი მოღვაწეობის მოზიარენიც კი გაურბოდენ

არც ამით დაკმაყოფილდა აკაკი. ერთ თავის ნაწარმოებში ის შეეხო იმ მხარესაც, რომელსაც ასე დაჟინებით უსვამდენ ხაზს მიმართულების მოწინააღმდეგენი და ცოდილობდენ ამით გაეტეხათ მისთვის სახელი, წაერთმიათ ხალხისაგან მინიჭებული ნდობა, მკითხველი მიმხვდარი იქნება, რ ე სახეში მაქვს ზოგიერთა ყოფილ რაზმელებისა და „ერთობის კაცების“ მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედებანი. ამ მოვლენებს მოწინააღმდეგენი მოძრაობას აწერდენ და მის ნამოქმედარს ასაღებდენ.

აკაკიმ ამ მოვლინებაზეც შეაჩერა თვისი გონიერი თავი, ასწონ-დასწონა იგი და როგორც მოსალოდნელი იყო მისი გამჭრიახობისგან, გაარჩია ღვარძლი პურისგან. „ნამდვილ ამბავში“ მან შესანიშნავათ დაახასიათა ის ელემენტები, რომელიც დროსა და გარემოების მიხედვით ხან ერთს ღმერთს სცემდენ თაყვანს და ხან მეორეს. ასეთი ერია, რა თქმა უნდა, ხალხშიაც და აი, ესენი გამოიყვანა აკაკიმ გამოსუქინსინებულის სახელით.

***

„ამ ბოლო დროს ერთგვარი ხალხი გამრავლდა ჩვენში, რომელსაც არც ღმერთი სწამს არც!.. ამ გადაგვარებულებს შრომა ეზარებათ და საშოვარზე უჭირავთ თვალი!.. თუ მოახერხეს‘ დღეს კაცს მოკლავენ ფულის გულისთვის, ხვალ საყდარს გასტეხენ; აქ ვისმე მოატყუებენ, იქ ჩამორჩებიან და ამ გვარად!.. როგორც ურიის სახლში მირონი, ისე იმათ გულში არა არის რა წმინდა!.. ოღონდ კი უშრომლათ შეიძინონ რამე, აქეთაც ბრიან და იქითაც. მოძრაობის დროს ბევრი იმათგან ტერროორად იყო გასული და იმ დრო, როცა ნამდვილი სოციალისტები ციხეში იყვენ გამომწყვდეული, ისინი ხალხს ატყუებდენ და ცარცვავდენ. მათი სახელით ბევრ რასმე ცუდს ჩადიოდენ და ნამდვილ სოციალისტებს სახელს უტეხდენ. სანამ დრო ქონდათ, იქით იყვენ და რეაქცია რომ დადგა, აქეთ გადმოვიდენ. მთავრობას მიმართეს: ზოგი სამსახურში შევიდა, და ზოგმაც ჯაშუშობას მიყო ხელი, რომ რამე შეეძინა. აი ესენი არიან „გამოსუქინსინებულები“.

ასე პირუთნელათ, სადათ და უბრალოთ შესძლო აკაკიმ იმის დაფასება, რაც ჯერ კიდევ შეუგნებელი და გაუგებარია ბევრი მოფილოსოფე თავისთვის.

მარა არც ამაზე შეჩერებულა ჩვენი უკვდავი მგოსანი. ხალხთან მისი კავშირი იმდენათ მჭიდრო და მტკიცე იყო, რომ არც პრაქტიკულ პოლიტიკაში უნდოდა მისი ჩამოშორება. მიუხედავათ აზრის სხვადასხვაობისა, იგი დარწმუნდა, რომ ხალხის საუკეთესო წარმომადგენლობა, მხოლოთ შეძლებულ კლასთაგან ათვალწუნებული მიმართულების კაცებს შეეძლოთ და ხალხის სურვილით მორჩილმა განიზრახა ხელი შეეწყო ხალხის ნდობით აღჭურვილი პირის ამორჩევისთვის, და აშკარათ მიემხრო ე. გეგეჭკორის კანდიდატურას.

ახლა მეტია იმის გახსენება, თუ რამდენი უსამართლო და დაუმსახურებელი წყენა შეეხვედრეს მას ამის გამო. ბევრს უკვირდა აკაკის ასეთი ქცევა; ბევრი სხვადასხვა მოსაზრებით ხსნიდა მის უკანასკნელ გ მოსვლას. მარა ყოვილი ასეთი მიკიბულ-მოკიბული ახსნა უადგილი იყო. ჩვენთვის სრულიათ ადვილი ასახსნელია ეს შეეთხვევა: აკაკი ყოველთვის ხალხთან იყო; მისი ჭირი უჩნდა თავის ჭირათ და ხალხის შვება თავის ლხენათ, და, რა გასაკვირალია, თუ აქაც ხალხს ამოუდგა გვერდით. მისი ნდობა ხალხისადმი იმდენათ ღრმა იყო, რომ აქაც ირწმუნა მისი სიმართლე — მას სჯეროდა, ხალხი ბოროტს არ მიენდობოდა გულით და აქაც ფეხდაფეხ ვაყვა მას.

ზევით გაკვრით მოვიხსენიე, აკაკი თავის იდეალს წასრულში ეძებდა თქო და ეს საზოგადოთ, მისი პოეზიის შესახებ მართალიცაა, მარა არა სავსებით წარსულში პოეტი პოულობდა თვისი სხივმფრინარე ნიჭით გაცისკროვნებულს მოღვაწეებს და მათ წარმოგვიდგენდა სამაგალითოთ, რადგან მიმდინარე დუხჭირ ცხოვრებაში ვერ ხედავდა მათ ბადალს. მარა როცა ხალხის ზღვა აბობოქრებოდა, ხალხის გაცნობიერების ნიშნები იჩენდა თავს, აკაკი ტაშის კვრით მიეგებებოდა ხოლმე და ბოლოს და ბოლოს, მისი უაღრესი რწმენა და იმედიც ისევ ხალხი იყო. ის აღიარებდა, რომ მომავალი ხალხის ხელთაა და ხალხი მხოლოთ ბრძოლით გამოსჭედავს თავის ბედს. უმოქმედოს და სხვის ხელში შემყურეს იგი „ფურთხის ღირსათ“ თვლიდა.

წარსულის სიყვარულს არასოდეს არ დაუხშავს მისი გონების თვალი იმდენად, რომ თუ აწმყოში რამე სანუგეშო იყო, შეუმჩნეველი დარჩებოდა. მაგალითად მოვიტან უბრალო შემთხვევას. ზევით მოხსენებულ „ნამდვილ ამბავში“ აკაკიმ აღნიშნა ახალი ქალის ტიპი. მხოლოთ გაკვრით, ერთი შტრიხით მოიხსენია იგი განსვენებულმა, მარა ესეც საკმარისია მისგან. იქ ვკითხულობთ რომ ერთ გლეხის ქალს, თვისი წრისა და მდგომარეობის შესაფერი, ბედი მიადგა კარზე — შეძლებული, ჯამაგირიანი და შემოსავლიანი საქმროსგან მოუვიდა მოციქული. ეს ვაჟი „სტრაჟნიკათ“ იყო, ქალმა იცოდა, რომ იგი სოფლების აოხრების და აწიოკების მონაწილე იყო და ამის გამო, წინამძღვეგ მშობლების სურვილისა, მათი რჩევა-დარიგებისა, უარზე დადგა: „ძალთა პირას არ წავყვებიო! ოქროში რომ ჩემსვას და თვალმარგალიტით შემჭედოს, მაშინც არ მინდა ქვეყნის მცარცველიო. იმას რომ წავყვე, მერე რაღა პირით უნდა შევხედო სოფელსო“. ესე მსჯელობს სოფლის გამოუცდელი გოგო, ხალხის შვილი. აბა მიმოიხედეთ მაღლა წრეებში, რამდენია ასეთი რწმენის მიმდევარი? როგოც ხედავთ, აქ მხოლოთ ერთი ხაზია გასმული, მარა ესეც ძვირფასი და დამახასიათებელია. ეს ქალი მომავალი ტიპის ჩანასახია. იგი ნაყოფია „ხალხის ჩვენში გამოღვიძების“, რომელსაც პოეტი „მოელოდა“, და არც ეს დარჩა მას შეუმჩნეველი. სამწუხარო მხოლოთ ის არის, რომ პოეტი ვერ მოესწრო ამ ახალი ტიპის გაგითარებას, — რადგან ბუნების კანონმა თვისი ქმნა.

ასე მჭიდრო იყო მგოსნის კავშირი ხალხთან და ამიტომაცაა, აკაკი ეგზომ ძვირფასი ხალხისთვის და ხალხი მისთვის. ამიტომაც შეეძლო მას წარბშეუხრელად შეხვედროდა, როგორც ხალხს, ისე მის ხელმძღვანელ პარტიას და ეთქვა: ჩვენ ვთესეთ და აწ თქვენ მომკეთო!

ასეთია მისი მრავალფეროვანი მოღვაწეობის ერთი მხარე, რომელზედაც დღესვე მივიჩნიეთ საჭიროთ შეჩერება. ამის შემდეგ მეტი და უადგილოა კითხვა: თუ ვის ეკუთნის აკაკი? იგი თვით ხალხია, „აკაკი საქართველოა“, მხოლოთ ახალი, მომავლის საქართველო და ნურავის გაუკვირდება, რომ ხალხი ასე გულწრფელათ დასტირის მას. მისი სამარე ქართველი ხალხის გულია. იგი უკვდავია, მარა მისი მოშორება მაინც მძიმეა და ამიტომ დღეს გლოვის დღეა; და ამავე დროს დღეს აკაკის უკვდავების გამოცხადების დღესასწაულიცაა; თვით ხალხის, მისი შემოქმედების ძვიერების ცნობის დღეა.

მაშ ვირწმუნოთ, რომ ასეთი შვილის დამკარგველი ერი, კიდევ შესძლებს თავისი გულლის მესაიდუმლის წარმოშობას და მით ვინუგეშოთ თავი..

არიელი.

ქართველი მწერლები აკაკის შესახებ

აკაკის იუბილეს დროს 1908 წ. საიუბილეო კომიტეტმა გამოსცა პატარა მეტათ ორიგინალური კრებული, სადაც მოათავსა სხვა და სხვა ავტორების ლექსები და წერილები. ამ უკანასკნელთა შორის არის რამდენიმე მეტათ საგულისხმო, რომლის ახლა გახსენება უადგილო არ იქნება. **პრ. ფ. ალ. ცაგარელმ** მოათავსა წერილი: „აკაკი, გიხაროდენ!„ აი რასა სწერს პატივცემული მწერალი: „ამ უკანასკნელ წლებში ყველა „ერთობას„ გაიძახოდა სიტყვით და საქმით კი, როგორც წინათ, ახლაც ჩვენი საზოგადოება ისევე დაქსაქსულია, დაქუცმაცებულია, დასებათ და ჯგუფებათ დაყოფილი და ერთი მეორესგან განცალკევებული, როგორც წარსულში. და ეს იყო ყოველთვის ჩვენი ისტორიული ჭირი და ვარამი. თემათ და თემათ დაყოფილი საქართველოს ხალხი ერთმანეთს ებძოდა. ამას ალევდა თავის ძალ-ღონეს და ამიტომ თავისთავს ღუპავდა უმეტეს გარეშე მტრებისა... აკაკიმ თავის ნაწერებში „ერთობის“ იდეალი გაახორციელა და სული ჩაუდგა: იმისთვის არ იყო, არც იმერეთი, არც კახეთი, არც სამცხე, არც რაჭა და სხვანი, — იყო მხოლოთ ერთი საქართველო და მგოსანი ნახევარი საუკუნე ამას თავს ევლებოდა და დასტრიალებდა, როგორც არწივი თავის წიწილებს და თანაც მოსთქვამდა და ზედ დამღეროდა შვენიერი ლექსით, ხან „გლოვის ზარის“ კილოზე და ხან „ძლევისა გალობისა“ გალობით, „ეროკლე“, თუ „თორნიკე“, თუ „სოლომონ დი-

დი“, თუ „როსტომ, რაჭის ერისთავი“ და სხვანი ამერ-იმერნი ყველანი იგივე ქართლოსიანნი იყვენ, სულ ერთი ჯურის მოდგმის და ტომის, ერთი ქართველი დედის ღვიძლი შვილნი იყვენ იმის თვალში, სულში და გულში და სულ ერთ ქართველ ერს შე-დგენდენ“.

განსვენებული პროფ. ალ. ხახანაშვილი თავის წერილში „აკაკი და სოფლიო გოდების პოეზია“ აი, რას ამბობდა: აკაკის მარგალიტივით აწყობილს ქმნილებას ერთი ჰანგი უფრო გაბედულათ და თითქმის განუწყვეტლივ დამღერის, უკეთ ვთქვათ დაკვნესის. ამ ჰანგს პესიმისტური ელფერი სდევს, იგია ,,სოფლიოს გოდების“ მეთოდი, რომელიც გაისმის დასავლეთის და აღმოსავლეთის პოეტთა ნაწერებში. იმ პესიმისტთა ჯგუფს, რომელსაც ეკუთვნიან მეფე სოლომონებრაელი, ომარ-ზაიამ სპარსელი, ბაირონ ინგლისელი, ლეოპარდი იტალიელი და სხვანი, უერთდება თანამედროვე ჩვენი პოეტი. ამ დიდებულს მგოსანს, უკმაყოფილო მწერალთა მსგავსათ შესისხორცებული აქვს განსაკუთრებით სალირიკო პოეზია და თვით დრამა - ეპოსში იგი უცვლელათ რჩება გრძნობის მოციქულათ და მქადაგებლათ. თვით სალირიკო დარგშიაც მის ჩანგს აყღერებს ორგვარი სიუჟეტი: სატირა და ელეგია, ჰმუნვის და გაკილვის სიმები, ანუ, როგორც თვითონ გვამცნებს „ცრემლში ნალესი ნაღველი და ნაღვლიანი მწუხარება“. იგი ხშირათ ემდურის თავის ხვედრს, უბედო თავს, მოსთქვამს მწარეთ გულის მოდუნებას და ოცნების გაქარწყლებას. გაუქრება რა ნაზმანები „საამური ჩვენება“, თვალწინ გადეშლება „პირშავი“ სამშობლოს სურათი. აქ, „ამ სოფლათ“ შეუწყნარებელი და შეუბრალებელია: დაიარება მარტოკა ობლათ, დევნილი ყველასაგან საქმით და სიტყვით“. პოეტის გულში ჩასახული „იდეალი ვერსათ მოინახა“. წინააღმდეგ, მისმა „ეკლით ნაჩხვლეტმა“ არსებამ განიცადა ბევრი ტანჯვა, ვაება: მეგობარმა უღალატა, სატრფომ სხვაზე გასცვალა, ცხოვრებამ ტკბილი წყაროს მაგივრათ მწარე სამსალა შეასვა და ასპარეზი ია ვარდის მაგივრათ ჭინჭრით მოუფინა. მოწამებრივმა სვემ პოეტი სასოწარკვეთილებაშდი მიიყვანა და გულამოსკვნილს ათქმევინა: წარსული აღარ მარგებს, მომავალი მენანებაო. ქვეყნიური ამაოების შეგნებამ გაუღვიძა სიკვდილისადმი მისწრაფება: „ღმერთსა ვვედრებ, რომ მეღირსოს საფლავში დაძინება, სჯობს სულ განქრეს კაცი, რადგან მტვერია“. ამოებათა ამოება და ყოველივე ამაო, ამბობს მეფე სოლომონი. პესიმისტი ლეოპარდი ამასვე განიმეორებს და იტყვის: მე შევნატრი მიცვალებულთ და მხოლოთ მათთან მსურს ხვედრის გაცვლაო. ამათ ბანს აძღევს ჩვენი პოეტი და დაასკვნის გამოცდილი და დაკვირვებული გონების ძალით: „სიცოცხლე არის მონება და სიკვდილი განსვენებაო“. ამგვარათ, დიდებული ქართველთა მგოსანი წარმომადგენელია იმ სალიტერატურო მიმართულებისა, რომელსაც ეწოდება „სოფლიო გოდების პოეზია“.

იაკობ ფანცხავა ამავე კრებულში უძღვნის წერილს ,,აკაკი წერეთელი შოთასა სთხოვს: მასწავლე საიდუმლო ჟღერისა, რათა მგოსანი ვიქნე ერისაო,,. მართლაც, აკაკემ ზედ-მიწევნით შეასრულა ეს წადილი: იგი მისვწდა ჟღერის საიდუმლოებას და მით შეიქნა მგოსანი ერისა. აკაკის ლექსი ყველასთვის, ვინც უნდა იყოს იგი განათლებული, გინდ სრულიად უბრალოც—ადვილი გასაგებია, იგი ყველას სულში ჩასაწვდომი და ამაძგერებელია. აკაკი დიადი და შეუდარებელი ხელოვანია ლექსთა მარგალიტის მძივებით ჩამოსხმაში. მისი ლექსი სუბუქი და ნარ-ნარია, ადვილ-გასაგები და მკვირცხლი. ამ ხელოვნებით აკაკიმ ქართული ენა გააფაქიზა, ნარ-ნარ ჰყო სასმენად და გაამდიდრა, გაამრავალ-ფეროვანა ნამდვილ ქართულ სიტყვათა აგებულებით, მოკაზმულობით. ამ თვისების გამო ქართული ენა მისაწვდომი და გასაგები შეიქნა მთელ ხალხისთვის: ეს ენა გაეროვნდა, ე. ი. ქართველ ხალხის ყველა წრისა და მდგომარეობის კაცისათვის ადვილად გასაგები და სასიამოვნო სასმენი შეიქნა. ამ მხრით აკაკემ უკვე მთელი სკოლა შექნა და სამუდამოთ განდევნა მძიმე და უშნო აწყობილ

ლექსთა თხზვა. დღეს მგოსნობას ველარავინ დაიჩემებს ისე, თუ რომ მისი ლექსი გარეგანი ფორმით აკაკისებურათ არ არის აწყობილი. ასე ხელოვნურათ აწყობილ ლექსს აკაკიმ შინაარსი საეროვნო მისცა. აკაკის ლირიკა თავიდან ბოლომდი ერთი გაუთავებელი მოთქმაა, „საერო კვნესით“ ავსილი. აკაკის ჩონგური მუდამ საერო კვნესით ჟღერს და ეს საერო კვნესა-კი სრულებით ადვილათ, ძალ—დაუტანებულათ ვრცელდება ხალხში ამ ენის წყალობით. საერო მისწრაფებათ ასე ვერ გაავრცელებდა ხალხში რამდენიმე ასი პროპაგანდისტიც კი, რადგან აკაკის ჩონგურის „კრინ—მანჭი ხმა-ტკბილის“ სმენა ხალხს განუწყვეტლივ ენატრება და ამ ენას იგი ეტანება. ამ ჩონგურის „სიმი ბულბულის ენა“, ფრთები კი „არწივის ასხია“ და, ამიტომაც, დიაღაც შეშვენის აღმაფრენა. ეს აღმაფრენა—კი არის დიადი „საერო კვნესა“, რომლით მგოსანი მარათ გულ—მოკლულია. რაღა გასაკვირველია, რომ ამ სიმაღლემდი ასული აკაკის ჩონგური პირდაპირია და მართლის მქადაგებელი? ეს ჩონგური სამრუდით სიმთ არ აყღერებს და არც ვისმე მიეფერება, რადგან ეს ჩონგური სრულ პასუხისმგებლობას იღებს მთელი ხალხის, მთელი ერის წინაშე. ამიტომ ეს ჩონგური სრულ უშიშრობით და მიუფერებლობით აშკარათ იტყვის: „აღარ ვნატრობ აღარასა, რომ სამშობლოს მტრის სისხლითა ვიღებავდე ჭაღარასაო“. ეს პირდაპირობა და მიუფერებლობა, ეს სიმართლის გულახთილათ თქმა კი ხომ ყოველ დიდბუნებოვანი ადამიანისა და დიადი მგოსნის ნიშნობლივი თვისებაა. აკაკი სწორეთ ასეთია!“

ჩვენი დაუვიწყარი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი, რომელიც დიდის პატივის ცემით და სიყვარულით გამსჭვალული იყო აკაკისადმი, აი, რას ამბობს თავის წერილში, რომელსაც ეწოდება „ქართულ პოეზიის იალბუზი“: „წარმოიდგინე, მკითხველო, მაღალის მთის წიაღიდან გამოვარდნილი ანკარა წყარო, რომელიც მუსიკალური შხეილით ძირს ჩადის და აჩენს ვეებერთელა მორევის უფსკრულსა. ეს ბროლისებური მორევი შეუდარებელი სარკეა ბუნებისა. მასში შვენივრათ იხატება მისი ნაპირების მცენარეულობა, მასში კამკამებს ცა, მზე, მთვარე, ვარსკვლავები, მასვე თავისს სარკედ ხმარობენ ღრუბელნი ცისანი. ამავე დროს ამ კამკამა მორევის ძირში ისე ცხადათ ჩანს ყველაფერი, რომ თითოულს კენჭს ადვილად დასთვლი. სწორედ ამას, ამ საარაკო სიწმინდეს და სიცხადეს, მოტყუებაში შეყავხარ: შენ ეს მორევი თხელი გგონია, მარა აი ჩაუშვი შიგ ვეებერთელა ჭოლოკი და მან ძირის ნახევრამდინაც ვერ უწია. მორევი მეტათ ღრმა აღმოჩდა. სწორედ ამისთანა თვისებისაა ის. პოეტური და ლიტერატურული ზღვა, რომელიც შექნა აკაკის მაღალმა ნიჭმა. ეს ზღვა თხელი გეჩვენება? რად? იმიტომ, რომ საარაკო კაშკაში გააქვს და შიგ ყველაფერს მეტათ ადვილათ და ცხადად ხედავ. ხედავ, არა მარტო შენ, დიდი, არამედ რვა-ცხრა წლის შეგნებული ბავშვიც და ეს უფრო ატყუებს. მარა აი, მოიკრიბე გონება, ღრმად ჩააკვირდი აკაკის თქმულებათა შინაარსს, შეუდარებელ ფორმას და აღტაცებაში მოგიყვანა მისმა საოცარმა კაზმულობამ, მისთა აზრთა და გრძნობათა სიღრმემ, მისმა მისწრაფებათა სიმაღლემ...

აკაკიმ შექმნა თავის საოცარი გავლენით მთელი სკოლა პოეტებისა...

აკაკი გახორციელებული მამულიშვილობაა. მას საქართველო ისეთივე გაგიჟებით უყვარს, როგორც ტარიელს ნესტანდარეჯანი. რასაც უნდა სწერდეს აკაკი, ლექსით თუ პროზით, ყველაში გამოსჭვივის აპრიალებული სიყვარული სატრფო სამშობლოსი. ამ მხრივ აკაკიზე ზედ გამოჭრილია გ. ორბელიანის ლექსი: „მისი ფიქრი, მისი სიტყვა თუ არ შენდა არსად იყოს, შენთან მის დღე ბრწყინვალეებდეს, უშენოდ კი დაებნელოს“. ძლიერი სიყვარული სამშობლოს შეადგენს ძლიერს სიყვარულს კაცობრიობისას. სოფლიო ტალანტები, გენიოსები, დიდი პატრიოტები, იმავე დროს დიდი მოყვარენიც იყვენ

კაცობრიობისა. ასეთია აკაკიც! ამ ფართო კაცთ მოყვარეობით აიხსნება ის ფაკტი, რომ აკაკის დიდი სახელი აქვს არა მარტო ქართველებში, არამედ სხვა ხალხებშიაც...

მაღალ ნიჭიერი გვამნი ნამდვილი დემოკრატები იყვენ და არიან. როგორც მაღალი ფსიქიურის აგებულობის პატრონი, ისინი სხვებზე მეტად გრძნობდენ იმ სოციალურ უსამართლობას და უთანასწორობას... გრძნობდენ და მედგრათ ქადაგობდენ ამ უსამართლობის მოსპობას, გათანასწორებას, ძმობას, ერთობას. ასეთივე ქადაგება ძლიერათ გაისმის აკაკის ლექსებსა და პროზაში... ხალხი აკაკის გულრწფელს დემოკრატობას კარგათ გრძნობს და ამიტომ უფრო მხურვალეთ უყვარს იგი"...

(1 „თემიდან")

კრიტიკოსი ივ. გომართელი – ნ. ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი ის სამებაა, რომელიც წარმოადგენს ქართველი ერის სიწმიდეს, დიდებას, შვენებასა და სიამაყეს. მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში, სამივემ ქართული პოეზია ააყვავეს და ევროპის პოეზიას ამოუყენეს გვერდით. თუ ინგლისელები ამაყობენ ბაირონით, ჩვენ შეგვიძლია ვიამაყოთ ბარათაშვილით, თუ ფრანგები ამაყობდენ ვიკტორ ჰიუგოთი, ჩვენ შეგვიძლია ვიამაყოთ ილია ჭავჭავაძით; თუ რუსები ამაყობენ პუშკინით, ჩვენ შევვიძლია ვიამაყოთ აკაკი წერეთლით... აკაკი წერეთელი გახორციელებული პოეზიაა, ის ქართველი ხელოვნების გენიოსია. მისი ლირიკა უკვდავია. აქ მუსიკა და პოეზია ერთათ არის შედუღებული... აკაკი წერეთლის პოეზია—ეს ქართველი ერის ფიქრია, ქართველი ერის გრძნობა, ქართველი ერის მისწრაფება, მისი გულის ნადები. პოეტი, რომელიც ასე სრულათ გამოხატავს მთელი ერის სულსა და გულს, ჭეშმარიტი გენიოსია... აკაკი წერეთელმა უკვდავ ჰყო ქართული პოეზია და ქართული ენა და ამით უკვდავ ჰყო თვისი თავი"...

კრიტიკოსი კიტა აბაშიძე—აკაკი წერეთელი მთელი ჩვენის მცირედიც არის გონებაში ჩახედულის ნაწილის სასოებისა და უიმედობის, ტირილისა და სიცილის „სარკეა", მთელის უმეტესობის სევდა—ოხვრისა და სიმღერა-გალობის მეჩანგურეა და მესალამურე; ბულბულია დღე-ღამ განუწყვეტლათ მყეფარი სატრფო—ვარდის „დაზრობის" გამო; უნუგეშო ტარიელია, ,,რომელსა ცრემლი სდის შეუშრობელი" ნესტანის ქაჯთაგან ცხრა—კლიტულში დამწყვდევის გამო. იგი „ფუტკარია მზეილა, მოუსვენარი, ხატის ბუზი, ზეცის მუშა", რომელიც სულსა სწირავს და გულს უძღვნის ღვთის და კაცის ტკბილ სამსახურს და, ვინც ხელს უშლის შრომის დროს, მხოლოთ იმისი მკბენარი„. იგი ნახევარ საუკუნეზე მეტს მოღვაწეობაში „სანთელი" იყო, რომელიც „საიდუმლო" პარპალით ბნელს ფანტავს თავის ნათელით და „მყუდროთ, ულხმოთ და უძრავათ დნება, ვით სხვერპლი დიადი, რომ მადლით გაასპეტაკოს უწმიმელი წყვდიადი.

იცნობენ თუ არა უცხონი?

აკაკის იცნობენ ყველა მოწინავე ქვეყანაში. ამ ხუთიოდე წლის წინათ პარიზშიაც იყო და იქიდან რომს მიელოდა რომის პაპი, რომელმაც საქართველოს დიდებულ მგოსანს საგანგებო პალატი განუმზადა და საზეიმოთ შეხვედრას უპირებდა. მარა ზოგიერთ ქართველთა მოწყალეობით აკაკი რომს ვეღარ ეწვია.

აკაკის ნაწერები გადათარგმნილია: რუსულს (თამარ ცბიერი, თორნიკ ერისთავი, სიყვარული, პატარა კახი, თამარ მეფე, სხვა და სხვა ლექსები), გერმანულს, ფრანგულს, ინგლისურს, სომხურს და სხვა ენებზე. რამდენიმე რჩეული ლექსი გადაღებულია ნოტებზე და გრამოფონის ფირფიტებზე ჩაწერილი.

მისი ნაწერები უმეტესად ჟურნალ-გაზეთებშია გაბნეული. და ოც დიდ ტომზე მეტი შესდგება, რომ გამოიცეს.

იოსებ არიმათიელი.

ომის მატიანე

ამ ორი თვის განმავლობაში დიდი შეტაკებები იყო. ყველა ფრონტები მოწამეა თავგანწირული ომისა. აღმოსავლეთ პრუსიაში ჯერ რუსები მიიწევდენ წინ ალენშტეინით კენიგსბერგისკენ. მარა გერმანელებმა ბოლო დროს ამ მხარეს მიაქციეს ყურათღება და ძლიერი ჯარი გაგზავნეს იქეთ, რის შემდეგ რუსები იძულებული იყვენ დაეტოვებიათ გერმანიის ტერიტორია, რადგან მტერი სასტიკი ივერიშებით ესხმოდა თავს. უკან დახეულ რუსებს გერმანელები ორი გზით გამოყვენ. სასტიკი შეტაკებები იყო პოლონეთში ვისლას ორივე ნაპირებზე, განსაკუთრებით-კი მის მარცხენა ნაპირზე, სადაც მტერმა ათი ვერსის

მანძილზე შვიდი დივიზია და 100 ბატარეია აამოძრავა.

მარა მიუხედავათ ამ ჯოჯოხეთურ იერიშებისა რუსებმა შესძლეს მტრის შეკავება ხოლო მარჯვენა ნაპირათ რუსები ცოტცოტა წინაც მიიწევდენ; აქ მათ აიღეს სერპეკი.

როგორც სხვა და სხვა ცნობებიდან ჩანს გერმანელები სხვა გეგმას ადგენენ: მათ უნდათ გროდნოს მოუარონ, რომ ამ ქალაქის აღებით აიძულონ რუსის ჯარი დატოვოს ნემანის ხაზი, რასაც თან მოყვება ნარევა ბობრის ძლიერი ხაზის დატოვება, ამით კი ვარშავის ბედი გადაწყდება. ეს ოპერაცია ხიფათს უქადის მთავარ საკვებ გზას (პეტროგრად ვარშავის რკინის გზას).

გერმანელები, ამასთან ერთათ, არ ივიწყებენ ვისლას ნაპირებსაც, სადაც მუდმივ მარ თავენ აქა იქ შეტაკებებს.

გალიციაში-კი ავსტრიელ-გერმანელთა შეერთებული ჯარი მიიწევს პერემიშლისკენ რომ იქ შეუერთდეს უკანასკნელის გარნიზონს ლვოვისკენ გასალაშკრებლათ. საზოგადოთ კარპატების სხვა და სხვა უღელტეხილებში სასტიკი ბრძოლა წარმოებდა.

ბუკოვინა თანდათან ავსტრიელების ხელში გადავიდა. მოსალოდნელია, რომ ამ მხარეს გერმანია მეტ ყურათღებას მიაქცევს და აქეთ გადმოსხამს დიდძალ ჯარს, რომ კამენეც—პოდოლსკის გეზით შემოესიოს რუსეთს და ამით პოლონეთში შეასუსტოს რუსების წინააღმდეგობა.

დასავლეთ ფრონტებზე გერმანელები თავდასხმითი ომს აწარმოებენ; ფრანგებისა და ინგლისელების მოქმედება-კი უფრო მოგერებითი ხასიათისა იყო საფრანგეთში გერმანელებმა მიაწიეს სუასონის მიდამოებამდი და ახლა როგორც გაზეთები ამბობენ, დიდ—ძალი ჯარის გა[illegible]ხმას აპირებენ იქ, რომ პარიზისკენ სავალი გზა თავისთვის უზრუნველ ყონ. ინგლისისა და გერმანელთა შორის, თუ რამე იყო შესანიშნავი, ეს იყო შემდეგი: გერმანიამ ინგლისს სავაჭრო ომი გამოუცხადა და, მიუხედავათ ნეიტრალურ სახელმწიფოების პროტესტისა, თავის მუქარას ახორციელებს: მისმა სამხედრო გემებმა და წყალქვეშ მავალმა ნავებმა დაღუპეს რამდენიმე ინგლისისკენ მიმავალი სავაჭრო გემი.

ინგლისის ჯარის მოლოდინში გერმანიამ გაამაგრა ახლათ დაპყრობილი ბელგიის ნაპირები.

ბელგიელები იძულებული იყვენ დაეტოვებიათ თავის უკანასკნელი ქალაქი იპრი.

ეგვიპტეში ოსმალოს ჯარი თან-და-თან შეუდგა სუეცის არხზე ომის წარმოებას. აქ იყო რამდენიმეჯერ საარტილერიო ბძოლა, მარა ოსმალებისთვის უნაყოფო გამოდგა, რადგან ინგლისელებმა ყოველთვის გააბათილეს მათი ცთა.

კავკასიის ყველა ფრონტებზე სასტიკი შეტაკებები წარმოებდა; ოსმალოს ჯარი ყოველგან მედგრათ იბძოდა; ირკვევა, რომ სარაყამიშ-არდაგნით შამოტევა დემონსტრატიული ხასიათისა ყოფილა. ოსმალებისგან 26 იანვარს დაკავებული თავრიზი 17 იანვარს რუსების ხელში გადმოვიდა. ადერბეიჯანში ოსმალებმა დიდ ძალ ჯარს მოუყარეს თავი, რომ აქედან დაიწყონ შამოტევა.

ოლთის და ჭოროხის მიდამოებში სასტიკი იერიშები მოქონდა მტერს რუსებზე. საზოგადოთ, ეტყობა ოსმალები ისევ ძველი გეგმით აწარმოებდენ ომს და მათი ყურათღება ეგვიპტე კავკასიისკენ არის მიქცეული; მარა ამ ორში უმთავრესი ადგილი კავკასიას უჭირავს.

ბალკანეთზე, საერთოთ, საქმე არასასიამოვნოთაა: სერბია განსაცდელშია; თან-და-თან ირკვევა, რომ რუმინია და ბულგარია, ავსტრიის მხარეს დაიჭერს; ხოლო იტალია, რომელმაც დაიკავა ვალონა, იმედია, უფრო სამთა კავშირისკენ იქნება.

შორეულ აღმოსავლეთში ერთხან ჰაერი აირღვა: იაპონიამ იმგვარი მოთხოვნილებები წარუდგინა ჩინეთს, რომ მისი შეუწყნარებლობა ჩინეთზე იაპონიის პროტექტორატის დანიშნას უდრის. ამიტომ მოსალოდნელი იყო დიდი ამბები, მარა, თითქოს, ჩინეთმა თავი ჩაღუნა—არაფერი ისმის.

იაპონიამ საფრანგეთსაც მოთხოვა კომპენსაციათ ინდო-ჩინეთი, მარა ამაზე ცივი უარი მიიღო.

შავ ზღვაზე ბრესლაუმ გაისეირნა: ბათუმსა და სევასტოპოლს უნაყოფოთ ყუმბარები ესროლა; შავი ზღვის ფლოტს რამდენიმეჯერ მოუხთა მოქმედება, მარა მნიშვნელოვანი არაფერი ყოფილა.

რედაქციამ მიიღო ახალი წიგნები: ლექსები, გ. ტაბიძისა და წიგნაკი გ. თუმახოვისა—ერობაზე.

რედაქტორ-გამომცემელი ს. მჭედლიძე.

სტამბა „ძმობა“ ქარვასლის ქუჩა, ჩარექოვის სახლი.

მიიღება 1915 წ. პირველ იანვრიდან ხელის მოწერა სამეცნიერო, სალიტერატურო და საპოლიტიკო ჟურნალ

"განთიად"-ზე,

რომელიც გამოვა ორკვირაში ერთხელ ხომლელის ხელმძღვანელობით.

წლიურათ ჟურნალი ეღირება 4 მან. 60 კაპ., ნახევარი წლით 2 მან. 30 კაპ., სამი თვით 1 მან. 15 კაპ., თვიურათ 50 კაპ., თითო ნუმერი აბაზათ.

წლიურ ხელის მომწერლებს ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეუძლიათ. ხელის მოწერისას 2 მან. 60 კაპ., პირველ აპრილს—1 მან. და პირველ ივნისს—1 მან.

ქუთაისში ხელის მოწერა შეიძლება ისიდორე კვიცარიძესთან, თომა მთავრიშვილთან და ძმ. ოცხელების წიგნის მაღაზიაში, თფილისში წ. კ. გ. საზოგ. მდივანთან, ბაქოში, ქართული სკოლის გამგე მეთოდე კაკაბაძესთან, ფოთში კოწია გამყრელიძესთან, ბათომში სოსიკო მდივანთან, სოხუმში ანთიმოზ ჯუღელთან და კავკავში თ. იასონ მერაბისძე ლორთქიფანიძესთან.

ფული უნდა გამოიგზავნოს ამ მისამართით: Гор. Кутаисъ. Роману Спиридоновичу Панцхава.

მიიღება ხელის მოწერა 1915 წლისათვის

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

„თემ"-ზე

გამოდის ორშაბათობით

წელიწადი მეხუთე.

გაზეთის ფასი: წლიურათ 2 მ. 50 კ. ნახევარი წლით 1 მ. 25 კ.

საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი.

მისამართი. ოლგას ქ., სახლი დიასამიძის, № 4.

მიიღება ხელის მოწერა 1915 წლისთვის ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

სახალხო ფურცელ-ზე

სურათებიანი დამატებით.

(კვირაობით)

გამოვა იმავე პროგრამით, როგორც 1914 წ. გამოდიოდა.

გაზეთის ფასი. წელიწადში 8 მ. და 50 კ. ცალკე № შაურათ, დამატებით 7 კაპ.,

12 თ.	11 თ.	10 თ.	9 თ.	8 თ.	7 თ.	6 თ.	5 თ.	4 თ.	3 თ.	2 თ.	1 თ.
8. 50	8.	7. 50	9. 75	6.	5. 25	4. 50	3. 75	3.	2. 26	1. 50	75.

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 50 კ.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი ტფილისისა ტფილისის გარედ, ან ტფილისის გარეთისა ისევ ტფილისის გარეთისაზე **40 კ.**

დანარჩენ შემთხვევაში უფასოა

წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მან. 50 კ. შეუძლიათ გადაიხადონ ნაწილობით. მხოლოდ შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადადილი: ხელის მოწერისათანავე 3 მან. 1 აპრილამდე 2 მან. 1 თიბათვემდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ, 50 კ. 1 ეკენისთვემდე

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის რიცხვიდან.

ხელის მოწერა მიიღება: 1) „სახალხო ფურცლის" კანტორაში, სასახლის ქუჩა., სარაჯიშვილის სახლი, (შესავალი ეზოდან) 2) ქ. შ. წ.—კითხ. გ. საზ. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში. 3) ფოსტით: Тифлисъ, газ. „Сахалхо Цурцели". ящ. 190.

ქუთაისში იაკობ ცინცაძის რედაქტორობით გამოდის ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„სამშობლო"

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 7 მან., თვიურათ 6 აბაზი.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებული განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათამდე ღირს 3 მ. 2 საათის შემდეგ 4 მან.